745 ✓ 11584

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 37 (1372)

4-10 დეკემბერი, 1993 წ.

ღია წერილები მაღალი თანამდებობის პირებს

ნოდარ გრიგალაშვილი

საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ჯაბა იოსელიანს

ბატონო ჯაბა, წესით და რიგით, ამ ბარათით უნდა მიმემართა პროკურატურის ან მილიციისათვის და არა თქვენთვის. რადგან საქმე ეხება დაპატიმრებული ახალგაზრდა კაცის ციხიდან გამოშვების საკითხს.

მაგრამ, ვინაიდან პროკურატურა და მილიცია კაცის დაჭერაში არიან გამეცადინებულნი, ხოლო თქვენ განთავისუფლებაში, ამიტომ, ვარჩიე, თხოვნა თქვენს სახელზე დამეწერა.

ამ არცთუ უსაფუძვლო ხუმრობას თუ არ მიწყენთ, კიდევ ერთი არგუმენტით შევამაგრებ ჩემს თხოვნას.

მიუხედავად გაზეთ „საქართველოსადმი“ თქვენი ამჟამინდელი ნეგატიური განწყობისა, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იმ დროში, როცა რუსის ჯარის გამოყენებით მხედრიონი დაარბიეს შავნაბადაზე და როცა თქვენ დაგაპატიმრეს, ერთადერთი რედაქტორი ვიყავი საქართველოში, რომელმაც დაუყოვნებლივ და საჯაროდ აღვიმაღლე ხმა.

მოხდა ისე, რომ სულ ცოტა ხანში თქვენს ხელთ აღმოჩნდა კაცის ბედის წაღმა თუ უკუღმა გადაწყვეტის შესაძლებლობა.

თავისთავად, ეს ფაქტი, მწერლის თვალით რომ შევხედოთ, ნოველის თემაა. ნოველის ფინალი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მიიტანთ გულთან და სამართლიანად გადაწყვეტთ ამ სათხოვარს...

ცხადია, პირადი პრობლემით არ გაწუხებთ.

საქმე ეხება ერთი ქართული ოჯახის სვე-ბედს, რომელიც, არაფრის გამო, ჯერჯერობით უკულმა ტრიალებს.

ამ გრძელი შესავლის შემდეგ, ვეცდები, მოკლედ აგიხსნათ საქმის ვითარება.

თბილისში, მთაწმინდის რაიონში მცხოვრებ ხუციძვილების ოჯახს, - მათთვის უბედურ დღეს, მიადგნენ სათანადო ორგანოს წარმომადგენლები და მამა-შვილი უშანგი (55 წლის) და დათო (23 წლის) დააპატიმრეს.

კაცი იმათ არ მოუკლავთ,
არ გაუძარცვავთ,
არ უჩხუბიათ,
ცილი არ დაუწამებიათ,
არ უმრუშიათ,
თბილისიდან ბომბეიმდე
გვირაბი არ გაუყვანიათ...

ადგნენ და მაინც დააპატიმრეს!

მოგეხსენებათ, გამწარებული კაცი მაგარია.

რას გვერჩითო, აყვირდნენ.

ზვიადისტები ხართო — უთხრეს იმათ.

ზვიადისაც და თქვენიცო — უპასუხეს ამათ.

არა, გინებას ადგილი არ ექნებოდა, ეს დეტალი მე შემოვიტანე მხატვრულობისთვის... მამა-შვილის დაჭერა მეტისმეტი ჩანდა, ამიტომ მამა გამოუშვეს და შვილი დატოვეს!..

თუ მაინდამაინც ზვიადისტობაზე კაცი იყო დასაჭერი და გამოსასწორებელი, უფრო უპრიანი არ იქნებოდა, მამა დაეჭირათ და შვილი გამოეშვათ?

55 წლის ზვიადისტს აწი აღარაფერი ეშველება, 23 წლის ბიჭს კი ყველაფერი წინ აქვს და, ნაცვლად იმისა, რომ გზაზე დაეყენებინათ, შეიძლება სულ გააბოროტონ და მართლა მტრად აქციონ.

ივიშვიშა საწყალმა მამამ, ეგ გაუშვით და მე დამიჭირეთო, მაგრამ ამაოდ.

მთაწმინდის რაიონის პროკურატურამ ხანქცია გაცა და დათო ხუციშვილი სასწრაფოდ ციხეში გადაიყვანეს, სადაც ხელოვნურად შექმნილი ათასგვარი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ჩაიცვეს მშობლებმა რკინის ქალამნები, ვის არ მიადგნენ, ვის არ თხოვეს შველა. ყველა შეწუხდა, ყველამ დახმარება აღუთქვა, განსაკუთრებით მადლიერები არიან ყურადღებისა და ადამიანური მიღების გამო ქალაქის პროკურორის, ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძისა, მაგრამ რაიონის პროკურატურა მტკიცედ დგას...

ბოლოს, რატომღაც ჩემთან მოვიდნენ.

ასე და ასეა ჩვენი საქმე, გაგვაუბედურონ უნდათო. ზვიადისტობა დაგვაბრალეს და ბიჭი ციხეში გაგზავნესო.

პატარა გამოძიება მეც ჩავუტარე.

მარტო ზვიადის სიყვარულისთვის რავა დიგიჭერდნენ, კიდევ რაღაცას დააშავებდით, რაღა თქვენ მოგადგნენ, თუ საფუძველიც არ ჰქონდათ-მეთქი.

კიო, — ერთი სომხის მეზობელი მყავს, ჩვენი მტრობა აქვს და ის გვამწარებს, რამდენი დროს იხელთებს, ის გვიჩივისო.

ჯერ იყო და ტელევიზიაში შეჭრა რომ მოხდა, მაშინ „ჩაგვიშვეს“, სამი დღე დაგვა-

დასასრული მე 6 გვ.

საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს

ბატონო თამაზ, თქვენც კაცის განთავისუფლება მინდა გთხოვოთ. ოღონდ არა ციხიდან, არამედ სამსახურიდან, თანამდებობიდან.

ნუ შეწუხდებით, ამას ისე ვწერ, მკითხველი რომ დავაინტრიგო და წერილის წასაკითხად განვაწყო, თორემ თქვენ რომ ვინმეს განთავისუფლება შეგეძლოთ, ზაურ ბოლქვაძის თქმისა არ იყოს, პირველ რიგში საქართველოს გაანთავისუფლებდით...

ძალიანაც რომ მოინდომოთ, მე რომ ინსტიტუტი მაქვს მხედველობაში, მისი რექტორის მიბრძანება თანამდებობიდან შეუძლებელია, რადგან ის ინსტიტუტი კომერციული გახლავთ. ეს სიტყვა კი, კომერციული, ისეთი ჯადო რამ გახლავთ, იმავდროულად უბატონობას და უპატრონობას რომ გულისხმობს.

კომერციული ვარ და ჩემს თავს მე თვითონ განვაგებ, რაც გამიხარდება იმას ვიქმ და ისე მოვიქცევიო.

ჯერ ერთი ამის გამოა კომერციული ინსტიტუტის რექტორის გათავისუფლება ძნელი და მეორეც, ის დაწესებულება, რომლის შესახებაც აქ მექნება საუბარი, ახლან აბაშიძის სამფლობელოში გახლავთ.

თბილისიდან ბათუმში კაცის მოხსნა კი, თუნდაც მინისტრმა მოინდომოს, მოგეხსენებათ, ერთი სამწუხარო მიზეზის გამო, უფრო ძნელია; ვიდრე თბილისიდან თეთრი სახლის საქმეებში ჩარევა...

და თუ მაინც მოგმართავთ, უფრო იმისთვის, რომ გული მოვიოხო და უმაღლეს სკოლაში მომხდარ გაუგონარ კურიოზზე მივაქციო თქვენი, როგორც მინისტრისა და პედაგოგის ყურადღება.

ჩვენ, რუსეთის ყოფილ იმპერიაში მცხოვრებ ადამიანებს სიტყვის, პრესის, სინდისის, რწმენის თავისუფლება იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გვიბოძა ჯერ კიდევ 1905 წელს. 1993 წლის 18 ოქტომბერს კი იმპერატორის ეს მართლაც მეფური საჩუქარი თავის ქვეშევრდომებისთვის წაურთმევია გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორს, დოცენტ შ.ფუტკარაძეს.

რომ მეგონა ეს ნაბიჯი მარქსისტმა შ.ფუტკარაძემ ცარიზმის უკანასკნელი მოჰიკანის სიძულვილით გადადგა, საქმე ასე არ აღმოჩნდა.

მთავარი დამნაშავე თურმე მე ვყოფილვარ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ გაზეთ „საქართველოში“ დაგბეჭდე გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის ახალგაზრდა მასწავლებლის ა.ასლანიძის საკმაოდ

დასასრული მე 6 გვ.

არის ასეთი პარტია?

რამდენიმე დღის წინ მოხდა ის, რაც პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკით, კარგა ხნის წინ უნდა მომხდარიყო — სახელმწიფოს მეთაურმა დაარსა თავისი პოლიტიკური პარტია — „მოქალაქეთა კავშირი“.

მისი დამფუძნებლად მოგვევლინენ მწვანეთა პარტია, საზოგადოება „თბილისელი“, მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა“, აგრეთვე ახლადჩამოყალიბებული თბილისის მოქალაქეთა კავშირი, ეროვნულ უმცირესობათა ზოგიერთი გაერთიანება და რესპუბლიკური პარტიის წევრთა ჯგუფი.

თავად ამ ფაქტში უცნაური მხოლოდ ისაა, რომ ედუარდ შევარდნაძეს აქამდე არ ჰქონია ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელზედაც იგი შესძლებდა დაყრდნობას თავის საქმიანობაში და რომლის სახელითაც იგი გამოვიდოდა.

საკუთარი პარტიის შექმნის ჩანაფიქრის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ პირველად რამდენიმე თვის წინ განაცხადა, მაგრამ ამას რაიმე კონკრეტული ნაბიჯები მაშინ არ მოჰყოლია. შემდეგ ეს თემა რამდენადმე მინელდა, მაგრამ აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვისა და ესენგეში იძულებით შესვლის შემდეგ კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამისდამიუხედავად მაინც არავის ეგონა, თუ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა ესოდენ ახლო პერსპექტივის ამბავი იქნებოდა. მაგრამ, ყოველგვარი წინასწარი რეკლამისა და აუიოტაუის გარეშე სულ რამოდენიმე დღეში დარიგდა მოსაწვევები, ჩატარდა დამფუძნებელი კრება, აირჩა მმართველობითი ორგანოები და დაიწყო პარტიის რეალური მშენებლობის პროცესი. მოქალაქეთა კავშირის შექმნაში გამოჩენილი ასეთი ოპერატიულობის მიზეზი მისი დამფუძნებელი კრებიდან ორიოდ დღეში „გაირკვა — სახელმწიფოს მეთაურს ჩაფიქრებული ჰქონია ახალი არჩევნების ჩატარება, ამიტომაც საყრდენი პოლიტიკური ძალის შექმნაც მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განახორციელა.

რატომ დასჭირდა ე.შევარდნაძეს ასეთი სიჩქარის გამოჩენა, ან აქამდე რატომ არ ჰქონია საკუთარი კურსის მხარდამჭერი და მისი ხორცშემსხმელი პარტია?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ორი წლის უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ, რომ სწორედ მაშინ შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული პარტია (ვალერი კვარაცხელია ინიციატივა), რომელიც სულ მალე გახდა შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების ერთ-ერთი ინიციატორი. იმ პერიოდში, და ამას არც თავად პარტია მალავდა, განზრახული იყო, რომ იგი უნდა გამხდარიყო ედუარდ შევარდნაძის დასაყრდენი ძალა პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ მან, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, არ ისურვა თავისი მოქმედებებისა და თანამოაზრეების წრის მხოლოდ ვიწროპარტიული ჩარჩოებით შეზღუდვა და ისედაც გახლეჩილ სახოგადოებაში ამით ახალი განხეთქილების შეტანა. ამიტომაც იგი მაქსიმალურად ზოგადსახელმწიფოებრივ პლატფორმაზე დადგა და დემოკრატიული პარტიის სპეციალური მეჯდომარეობაზეც კი უარი თქვა. ასეთი ნაბიჯი იმ ვითარებაში გასაგები იყო, რადგან ახლადშექმნილი დემოკრატიული პარტია ობიექტურად ვერ გახდებოდა შევარდნაძის მომხრე ყველა ძალის გამაერთიანებელი ცენტრი და ამდენად, ვერ იქნებოდა არჩევნებსა თუ სხვა პოლიტიკურ ბატალიებში გამარჯვების გარანტი. მითუმეტეს, რომ მოკლე ხანში სახელმწიფო სტჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ მიიღო სხვა პარტიების მხარდაჭერა, მათ შორის ისეთ მობილური ძალისაც, როგორიცაა ედპ.

ამან განაპირობა ის, რომ საკუთარი პარტიის შექმნის საკითხი იმ პერიოდში არ დამდგარა. მაგრამ თანდათან, როგორც ჩანს, ეს იდეა სახელმწიფოს მეთაურისთვის მომწყდა და მან ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა. ეს პირველად რამოდენიმე თვის წინ მოხდა. შემდეგ, როგორც ვთქვეთ, ახალ პარტიაზე საუბარი შეწყდა, მაგრამ ესენგეში შესვლის შემდეგ კვლავ წამოიჭრა. რატომ მოხდა ასე? საქმე ისაა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შევარდნაძის ბანაკი საგრძნობლად შეთხელდა (ეროვნულ-დემოკრატები, ლიბერალ-დემოკრატები და სხვ.), ისინი კი ვინც უწინაც მისი კონსტრუქციულ ოპოზიციას შეადგენდნენ, ახლა მკვეთრად გაემიჯნენ და პირდაპირ მოსთხოვეს გადადგომა. მეტიც, ხუთი მათგანი — ქარტია-91, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მონარქისტული პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი და მერაბ კოსტავას საზოგადოება — ორგანიზაციულადაც კი გაერთიანდნენ და ერთგვარი კოალიცია შექმნეს.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს მეთაური იფიქრებდა კონტრნაბიჯების შესახებ. გამოსავალი გამოინახა საკუთარი პარტიის შექმნაში, რომელიც თავიდანვე მის გარშემო გაერთიანდებოდა და ამდენად შემდგომი გადახრები მისი კურსიდან წინასწარვე შეტნაკლებად გამორიცხული იქნებოდა.

ერთგვარი მოსაშზადებელი საპუშოც ჩატარდა თბილისელთა რამოდენიმე შეხვედრის სახით, რაც, პირველ ეტაპზე, თბილისის მოქალაქეთა კავშირის შექმნით დასრულდა. შემდეგ კი, როგორც საზოგადოებამ უკვე იცის, დაარსდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირიც.

რას წარმოადგენს იგი, რა ძალებს გააერთიანებს და რისთვის იბრძოლებს?

შევარდნაძეს არაერთხელ განუცხადებია, რომ მის მიზანი იყო, შეექმნა ახალი — ევროპული ტიპის პარტია. ჩვენს სინამდვილეში ეს იდეა იმაში განხორციელდა, რომ მოქალაქეთა კავშირმა მიიღო არა ჩვენთვის ჩვეული პარტიის სახე, არამედ ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება. მასში შემავალი ცალკეული პარტიები პარტიებად დარჩნენ, ერთმანეთთან კი დაახლოებით ისეთ პირობებზე გაერთიანდნენ, როგორიცაა ქრისტიან-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალების ბლოკი გერმანიაში, რომელნიც საკანონმდებლო ხელისუფლებაში ერთ მსოფლმხედველობრივ პლატფორმაზე დგანან. ამიტომაც, როგორც ჩანს, მოქალაქეთა კავშირი მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო ბლოკის საფუძველიც გახდება და, თავისი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით იბრძოლებს გამარჯვებისთვის შემდგომ მმართველი ბლოკის შექმნის მიზნით.

რამდენად სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანი იქნება ეს გაერთიანება, რამდენად შეძლებს იგი მმართველი პარტიის როლის შესრულებასა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი მოქალაქეთა კავშირის შესახებ აზრის შექმნა მხოლოდ მისი დამფუძნებელი კრების საფუძველზე შეიძლება. იგი, ძირითადად, იმით იყო აღსანიშნავი, რომ დარბაზში ყველა მსხდომი, პრაქტიკულად, უფროსი ასაკის ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, კარგია, გონიერი და განათლებული ხალხის წევრობა ყოველი პარტიისათვის სასურველია, მაგრამ მაინ მთავარი ნაკლი ესაა, რომ ვერ შეძლებენ მომავალში კავშირის მებრძოლი ბირთვის ჩამოყალიბებას, რადგან ეს ადამიანები თავიანთ დარგებში უკვე კარგა ხანია, წამყვანი სპეციალისტები არიან და ახლა მათი გაპოლიტიკოსება ერთობ საეჭვოა. ასეთები ერთხელ მოვლენ მიტინგზე, მეორედ მოვლენ პოლიტიკურ ლიდერისათვის მხარდაჭერის გამოსახატავად, მაგრამ ძირითად პროფესიას ვერ შეელევიან. პოლიტიკაში კი ამინდს ის ხალხი ქმნის, რომელსაც იგი თავის ხელობად (ამ სიტყვის კარგი გაგებით), გაუხდია — ძირითადად ახალგაზრდები და საშუალო ასაკის ადამიანები. სხვათაშორის, კავშირის ეს ნაკლი დამფუძნებელ კრებაზე ერთადერთმა გამომსვლელმა — მისმა თავმჯდომარემ ე.შევარდნაძემ შენიშნა. მთელ კავშირში, პრაქტიკულად, ორად-ორი ახალგაზრდა წევრია — გიორგი მაისურაძე და გიორგი ბარამიძე და ორივე თავმჯდომარის მოადგილედ იქნა არჩეული. ვნახოთ, მოიზიდავს თუ არა ეს ფაქტი მოქალაქეთა კავშირში პატიოსან და დაინტერესებულ ახალგაზრდებს, ჯერჯერობით კი ფუნქციონირებს მხოლოდ მისი სათაობირო, რომელსაც დავალებული აქვს იანვარში პირველი ყრილობის მოწვევა.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი არჩევნები მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი, ეს ყრილობა ალბათ გახდება მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი ეტაპიც. შეძლებს თუ არა შევარდნაძე ახალი პარლამენტის არჩევნებამდე მის მხარდამჭერთა დღევანდელი ორგანიზაციულად გაერთიანებიდან ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც დაუპირისპირდება და აჯობებს ოპონენტებს, უახლოეს ხანებში გამოჩნდება.

არჩევნები და ზვალეო...

თენგიზ გოგოტიშვილი

გენსეკიდან გენსეკამდე

პირველი გენსეკი, ანუ გენერალური მდივანი ისტორიაში იყო იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი). მის თანამდებობას ერქვა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გენერალური მდივანი“. უკანასკნელი გენსეკი, ჯერჯერობით, არის დეპუტატი ზურაბ ჟვანია. მას ბედმა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის“ თანამდებობა არგუნა. გამოიჩენს თუ არა მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი იმ ზებუნებრივ ნებისყოფასა და გამჭრიახობას პოლიტიკაში, რაც ძველი კომპარტიის გენსეკს ჰქონდა? არ ვიცით. რა შეფარდება იქნება ამ ორ პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის გავლენისუნარიანობასა და პოპულარობის მხრივ? არც ეს ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ახალ სუპერპარტიას უფართოესი სოციალური ბაზა ექნება, რადგან განზრახულია (რამდენადაც გვსმენია), რომ მასში ყველა შევიდეს და არა მხოლოდ ხალხის ყველაზე ღირსეული შვილები, როგორონიც კომპარტიაში შედიოდნენ. თუ თბილისის ფილარმონიაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების მიხედვით ვიმსჯელებთ, მოქალაქეთა კავშირის სამოქმედო პროგრამა ფრიად სერიოზულია და ამავე დროს ფრიად კონკრეტულიც: იგი აპირებს იყოს არა ნგრევის, არამედ შენების პარტია, დღევანდელ პარლამენტში მოკალათებულ პარტიათა უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომელთაც პროგრამებში, უნდა ვიფიქროთ, ნგრევა უწერიათ. არ ვიცით, როდის შეუდგება ახალი პარტია შენებას იმ უპრეცედენტო ნგრევის სანაცვლოდ, რაც საქართველომ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე განიცადა განუხრელად მზარდი ტემპით. სამაგიეროდ ვიცით, რომ ახალ პარტიას გარკვეული ორგანიზაციული სიახლეები ახასიათებს ძველთან შედარებით. კერძოდ, უმნიშვნელოვანესი ფუნქციები აქ მოდის არა გენერალურ მდივანზე, არამედ თავმჯდომარეზე.

თუ სმენა და ხედვა არ გვატყუებს, შემოღებულ უნდა იქნას მოქალაქეთა კავშირის „კოლექტიური წევრის ინსტიტუტი: დიდი საწარმო ან დიდი დაწესებულება ერთობლივად გახდება პ-წ (პარტიის წევრი). არ ვიცით ოღონდ, ნახევარშტატიანი თანამშრომლები პ-წევრებად ჩაითვლებიან თუ ნახევარ პ-წევრებად.

ჯერჯერობით გაურკვეველია: თუ კოლექტივის ერთმა წევრმა არ ისურვა კავშირში გაერთიანება, იგი მაინც პ-წევრად ჩაითვლება თუ არა.

ღრმა თეორიულ გააზრებას საჭიროებს შემდეგი საკითხი: ადამიანთა ყველ კლასს და ჯგუფს, პოლიტიკურის ჩათვლით, სახელი ერქმევა რაღაცა ისეთი ნიშნის მიხედვით, რომელიც ამ ჯგუფის წევრებს აქვთ, სხვებს კი არა. მაგალითად, მმაკაცებს გვაქვს ნიშნები, რომლებიც მშვენიერთა სქესს არ გააჩნია, და პირუკუ. ლეიბორისტთა პარტიის წევრები ლეიბორისტები არან, კონსერვატორთა პარტიის წევრები — კონსერვატორები, მაგრამ არა პირუკუ. საკითხავია:

რა სპეციფიკური ნიშნები ექნებათ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ წევრებს ისეთი, რაც სხვა მოქალაქეებს არ ექნებათ? მაშ გამოდის, რომ ან ამ კავშირში საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს (და მაშინ რაღა საჭიროა კავშირი?) ან ის, ვინც კავშირში არაა, საქართველოს მოქალაქე არაა. ასეთ წესით დარქმეული სახელის მატარებელი ორგანიზაცია მხოლოდ ერთი ვიცით: ეს იყო „სოიუზ რუსკიხ ლუდეი“ — შავრაზმელთა ორგანიზაციის ოფიციალური სახელი. მაგრამ ის ორგანიზაცია ხომ გულისხმობდა, რომ მათ გარშემო სხვანი არიან, რუსეთში მცხოვრები არარუსები, ვისთანაც მათ ბრძოლა ჰმართებთ!

ძველმა კომპარტიამ საქართველოში 70 წელი იმეფა. ინტელექტუალებისთვის იგი იმთავითვე იყო არა მარტო შიშისა და სიძულვილის საგანი, არამედ ირონიისაც მისი იდეოლოგიისა და კადრების გამო. მასისათვის სასაცილო იგი თავისი სიცოცხლის ბოლო 29—25 წელიწადში გახდა. საინტერესოა, რამდენად დაჩქარდება ანალოგიური პროცესები დღეს, როცა ყველა პროცესი დაჩქარებულია.

ბევრი რამ ჯერ არ ვიცით, მეგობრებო, მაგრამ გული ნუ გაგიტყდებათ, რადგან „არა არს დაფარული, რომელი არ გამოცხადდეს“, მოიცადეთ. და ჩვენს საინტერესო დროში ბევრ საინტერესოს ნახავთ.

ჩიტი-კორესპონდენტი (გელური)

კონფედერატები ოთხ თვეს ითხოვენ

ა.წ. 14 ნოემბერს ცხინვალში სტუმრად იყვნენ მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ პირველი მოწვევის მეშვიდე სესიის მუშაობაში. ისინი ოსებს შეჰპირდნენ, რომ სულ ცოტა ოთხი თვის შემდეგ ყველა მათი პრობლემა გადაწყდება და საბოლოოდ დაისვენებენ ქართველი ფაშისტებისაგან.

რა მოხდება ოთხი თვის შემდეგ ან ოთხ თვეში, მაღლა ღმერთმა და დაბლა შანიბოვ-სოსლანბეკოვებმა იციან. ერთი რამ ოსთათვის სასიკეთო კი იმ დღესვე მოიმოქმედეს ყველა კაკასიელი ხალხის (ქართველების გარდა) მამიდა კონფედერატებმა. როგორც ვიცით მათი ვიზიტის დღეს დაემთხვა ოსების ომონის უფროსის ფარფატ ჯიოევის მკვლელობა. ამან უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია ქალაქში. სრული აღტაცებულობით ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და, სისხლისმღვრელ შეტაკებამდე ერთი ნაპერწკალიღა იყო საჭირო ომონსა და გვარდიას შორის. კონფედერატებმა კი მათ შორის თავიანთი ფაფახები ჩააგდეს და დროებით შეაჩერეს ერთმანეთზე სამტროდ გადაკიდებული თანამოძმეები. მიტინგზე გამოსვლისას ერთ-ერთმა მათგანმა ცრემლმორეული ხმით შესთხოვა ოსებს — ოღონდ ქართულ ვარიანტს ნუ გაითამაშებთ და ეს ერთი მუჭა ხალხი ერთმანეთს ნუ დაერევითო. (ჩვენი ხელისუფლების პატრონნი მისაბაძიც ყოფილვართ რაღაცაში).

კონფედერატებს დაუჯერეს და ქალაქის ცენტრში გამოჯირითებული მძიმე ტექნიკა უკან შებრუნდა, თუ როდემდე ეს არავინ იცის. ისევე როგორც არავინ იცის რა იქნება ოთხი თვის შემდეგ.

სხვათა შორის კონფედერატები ადგილობრივ ტელევიზიით გამოსვლისას საქართველოს საშინაო პრობლემებსაც შეეხნენ. აღნიშნეს, რომ სამხრეთი ოსეთი ოთხ წელია დამოუკიდებელია?!. (ეტყობა მუსულმანური კალენდრით გამოთვალეს), რომ აფხაზეთში ქართველები ცხვირს ვერ შეყოფენ, რომ აჭარას ჭკვიანი კაცი ხელმძღვანელობს და ისიც ჩამოცილებულია საქართველოს და თუ ქართველები გონს არ მოეგებიან თბილისსაც მივუხტებითო. ამაზე იტყვიან თხა გასუქდა და მგელს რაღაც დაუპირაო. ეტყობა თხა მანამდე იხტიალებს სხვის ბოსტანში, სანამ მას ა მგელი არ შეჭამს, ან პროტექე დათუნია არ მოაბეზრებს თავს. მაგრამ როდის იქნება ეს?

მერაბ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო შენიშვნები

მიხეილ მახარაძე

1. დიდი ამბავი ატყდა ქართული ხალხის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ამ საუკუნეწადნახევრის წინათ. ჩეჩნეთში [illegible]ბინული თეორეტიკოსები საერთო კავკასიური სახლის შექმნისა[illegible]ის იკლავდნენ თავს. საქართველოში ბევრი ამ იდეას არ უჭერდა [illegible]რს და თვალს ევროპისაკენ [illegible]ტრებდა. ქართველთა მეორე დიდი [illegible]ილი კი გვაფრთხილებდა: „რუ[illegible]ი არ დაგვავიწყდეს, არ გავა[illegible]ზიანოთო“ (ეს აზრი დღესაც [illegible]ბობს!). ამ დროს რატომღაც [illegible]ვის ახსენდებოდა, რომ საქار[illegible]ველომ 16 საუკუნის წინ, ქრის[illegible]ანობის მიღებით დიდი ხანია [illegible]დაწყვიტა ორიენტაციის საკითხი. [illegible] მუდამ ერთგული იყო ამ [illegible]ორიენტაციის, ამისათვის ჯვარსაც [illegible]ვა იგი და გოლგოთაც გამოიარა. [illegible] ორიენტაცია ცივილიზებულ სა[illegible]�ოზე იყო მიმართული.

[illegible] რუსეთთან ჩვენი დამოკიდებუ[illegible]ება მონური ფსიქოლოგიიდან გა[illegible]მდინარე კი არ უნდა იყოს, [illegible]ამედ კეთილმეზობლური და თა[illegible]ანწორი, როცა ყოველმხრივ იქნე[illegible] დაცული ჩვენი სახელმწიფოებ[illegible]ივი და ეროვნული ღირსება. რაც [illegible]ეხება რუსეთის გაღიზიანების [illegible]ეკითხს, გავიხსენოთ ისიც, რომ [illegible]18-1921 წლებში დამოუკიდებელ [illegible]ქართველოს არავითარი საფუძვე[illegible]ი არ მიუცია ბოლშევიკური [illegible]ესეთისათვის გასაღიზიანებლად, [illegible]რამ იგი მაინც „გაღიზიანდა“, [illegible]აფეინაწყენდა“, აგრესიაც წამოი[illegible]ო ჩვენს წინააღმდეგ და საბო[illegible]ოდ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციაც [illegible]ახდინა...

2. მსოფლიოს ზეძლაური სახელმწიფოს — სსრ კავშირის მაღალ ეშელონებში იგეგმებოდა ქვეყნის ერთიერთვანი და ცალსახა მართვის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დირექტივების სახით გადაეცემოდათ ქვემდგომ ეშელონებში, იქიდან უფრო დაბლა, ვიდრე სახელმწიფოებრივი მართვის ყველაზე დაბალ რგოლამდე. ამ იერარქიულ კიბეზე კი ერთი მხრივ უსტყვო მორჩილება იყო გამეფებული მაღალი ინსტანციებისადმი, მეორე მხრივ კი მბრძანებლური დამოკიდებულება დაბალი რგოლებისადმი. ასე რომ ერთპარტიულ დიქტატზე დაფუძნებულ ბოლშევიკურ ხელისუფლებას უსტყვო შემსრულებლები სჭირდებოდა და არა ნამდვილი პოლიტიკოსები. ამ სტრუქტურაში მოხვედრილი თუკი შეეცდებოდა ამ სტერეოტიპის დარღვევას, უმალ დაიკენებდნენ „სწორ გზაზე“: უკეთეს შემთხვევაში უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნიდნენ კვალიფიკაციის „ასამაღლებლად“, უარესში კი მგლის ბილეთით გამოისტუმრებდნენ.

სწორედ ამის გამო, ბოლშევიკური წყობილების დროს გამონაკლისების გარდა (გამონაკლისები კი საერთო სიტუაციას ვერ ცვლიან!), ნიჭიერი ადამიანები პოლიტიკას გაურბოდნენ და უფრო მეცნიერებს ან ხელოვნების სფეროში მოღვაწეობდნენ, არც თუ იშვიათად საქმოსანთა რიგებსაც ავსებდნენ (დღეს ბიზნესის სფეროს რომ უწოდებენ ჩვენში). ყველაფერმა ამან კი საბოლოოდ შესაბამისი ვაკუუმი წარმოქმნა ნამდვილ პოლიტიკოსთა მომზადებისა და ჩამოყალიბების საქმეში.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანაში, სწორედ აღნიშნული ვაკუუმის გამო, პოლიტიკას თითოეროლა გამონაკლისის გარდა, ძირითადად მიეძალნენ მედროვენი და თავის პროფესიაში ხელმოცარულნი, რამაც საბოლოოდ დიდი ზიანი მოუტანა როგორც ეროვნულ მოძრაობას, ისე საერთო ეროვნულ საქმეს. ნამდვილი პოლიტიკოსების დეფიციტის გამო, როცა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, ქვეყნის მართვის საქმე ვერ წარიმართა სასურველი მიმართულებით, რასაც ხელისუფლების კრიზისი და ამის საფუძველზე ამ ხელისუფლების კრახი მოყვა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პარლამენტის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემთხვევითაა მოხული პოლიტიკაში და ამასთან მათ გვერდით მრავლად არიან არც თუ ისე ძველკომუნისტურ სტრუქტურებში გამოვლილ-გამობრძენდილი ფუნქციონერები. როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის პარლამენტარებს კი ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწეობა ზემოაღნიშნულ მიზნათა გამო არ ძალუძთ (გამონაკლისებზე არც აქ ვლაპარაკობთ).

არის კიდევ ერთი კატეგორია პარლამენტართა — მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების საპტიო წარმომადგენლები, რომელთა ერთი დიდი ნაწილი ბოლშევიკური ინერციით მოქმედებს და პოლიტიკურ საქმიანობის ძირითად მხარედ უმაღლეს ხელისუფალთა პოზიციისადმი უსტყვო მხარის დაჭერა მიაჩნია. ასე იყო სხვათაშორის მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე დაკომპლექტებულ უზენაეს საბჭოშიც. არც მაშინ და არც ახლა, ამ კატეგორიის დეპუტატებსა და პარლამენტარებს არავითარი სასიკეთო კვალი არ დაუმჩნევია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში თავიანთი ყოფნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ძნელი აღარ იქნება იმის გაგება, თუ რატომ განიცადა კრახი უზენაესმა საბჭომ, რატომ გაუჭირდა რესპუბლიკის პარლამენტს და კრიტიკულ ჟამს დროებით მაინც რატომ შეწყვიტა ფუნქცირება....

3. სამეგრელოში, მდინარე ტეხურას პირას ნაკაფარი ქართველი კაცის ოჯახი სადილობს. განგაშის ხმაზე მამა-შვილი ხეზე ჩამოკიდებულ თოფებს დაავლებენ ხელს (თოხებს დროებით გადადებენ გვერდზე) და იქით გაეშურებიან, საიდანაც განგაშის ზარები რეკავს („მაძლუქის“ კონოვარიანტი). ასე იყო ძირითადად ქართველი კაცის ცხოვრების ისტორია, თოფი და თოხი, ხმალი და ბარი მის ცნობიერებაში სინონიმად იყო ქცეული. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქვეყნის გადარჩენა. იყო მოძმის მხრიდან ღალატიც, ორპირობაც და მისთანანი. მაგრამ ქვეყნის გადარჩენის ეს იდეა მთავარი იყო (და ნურავინ ცდილობს ამის საწინააღმდეგოს დამტკიცებას). ასე რომ არა, საქართველო, მისი ხალხის ყოფა და ბრძოლა არსებობისათვის მხოლოდ მსოფლიო ისტორიის ანალებს თუ შემორჩებოდა. გამომდინარე აქედან მოულოდნელი და უცნაური არაფერი ხდება დღეს, უბრალოდ ჩვენი ქვეყნის ისტორია გრძელდება და ნაწილობრივ მეორდება კიდეც, თავის ყველა რაკურსით. თუკი გადარჩენა გვინდა, მაშინ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენში აღსდგეს ის სული, რაც მუდამ მსჭვალავდა თავისუფლებისმოყვარე ჩვენს ხალხს. მოკლედ უნდა მოხდეს საშობლოს გადარჩენის იდეის გათითოკაცება. სხვა გზა ჩვენი გაერთიანებისა და გადარჩენისა არ ჩანს და ალბათ არც არსებობს...

4. დღეს საქართველოს საავტომობილო გზებსა თუ რკინიგზას, საზღვაო პორტსა და სხვა სასიცოცხლო ობიექტებს რუსეთის საჯარისო ფორმირებები აკონტროლებენ. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ამით ჩვენი ხელისუფლება ხელფეხგახსნილი და გაბედული გახდაო. გამოთქვამენ შიშსაც რუსის ჯარის ჩვენში ამ ახალი სტატუსით დამკვიდრების გამო. შიშის საფუძველი ნამდვილად არის. მაგრამ ამაზე უფრო საშიშია ქართველი მოსახლეობის დიდ ნაწილში განწყობის შეცვლა და ჩრდილოეთისაკენ იმედის მზერის მიპყრობა. ამასთან რადიკალურად იცვლება დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობისადმი და იგი ახლა აღიქმება როგორც უკიდურესი გაჭირვების მომტანის, ქვეყნის უმწეობისა და დალუპვის მაუწყებლად. ვინ იცის საიდან უნდა დავიწყოთ და რამდენი დრო დასჭირდება კიდევ ამ განწყობისაგან გასათავისუფლებლად...

5. საქართველოსათვის ამ მძიმე ჟამს ნებისმიერი ახალი მცდელობა ქვეყნის ხსნისათვის ყოველი ნორმალური ადამიანის თვალში სასიკეთო და მხარდასაჭერ ფაქტად აღიქმება. მაგრამ, როცა ამ ახალი იმედის — საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დაფუძნების დღეს ერთ-ერთი წამყვანი დიდი აგრესიულობით ლაპარაკობს ოპოზიციაზე და წინასწარ გამორიცხავს ყოველგვარ პოლიტიკურ კამათს (?!) და ისევ ერთი ადამიანის იმედზე გვტოვებს, ძალაუნებურად არ გასვენებს მწველი კითხვები: როდის უნდა გავთავისუფლდეთ კერპთაყვანისცემლობისაგან და ნუთუ ვერ უნდა დავაღწიოთ თავი იმ საშიშ სინდრომს, რომელიც ერთ დროს ასე ეუფლა: „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია!“...

6. კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის ელდარ შენგელიას საერთო მოღვაწეობის დამფასებელთა

(დასასრული მე-7 გვ.)

პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები

ადოლფ ჰიტლერი

[illegible]ადოლფის დედა — კლარა, განა[illegible]ების არმქონე, სოფლელი გოგონა [illegible], რომელიც ცხოვრობდა ალიოზ [illegible]ტლერის სახლში. როდესაც ალი[illegible]ს ცოლი გარდაეცვალა იგი გახდა [illegible]ი საყვარელი, შემდეგ კი ოფიცი[illegible]ური მეუღლე. ადოლფის დედა [illegible]რმისმოყვარე და პასუხისმგებე[illegible] ადამიანი იყო, არასოდეს არ ჩი[illegible]და. თავის ვალდებულებებს ასრუ[illegible]ბდა თავდადებით და კეთილსინ[illegible]სიერად. სახლი და ოჯახური ინ[illegible]რესები მისთვის იყო ყველაფერი. [illegible] ჰიტლერის მამა ალიოზი, იყო [illegible]აკანონიერად დაბადებული ბავ[illegible], რომელიც დედის გვარს ატარე[illegible]ა (შიკლგრუბერი გვიან მან შეცვ[illegible]ა ჰიტლერის გვარზე). მან ცხო[illegible]ება დაიწყო გაჭირვებული ფინა[illegible]ური მდგომარეობიდან და მხო[illegible]ოდ საკუთარი გულმოდგინებითა [illegible] დისციპლინის შედეგად შესძლო [illegible]წინაურებულიყო წვრილ ჩინო[illegible]ად ავსტრია-უნგრეთის საბაჟო [illegible]მსახურის საკმაოდ მაღალ თანამ[illegible]ბობამდე. უეჭველად ის იყო ეგო[illegible]ტი, და ცოტას ფიქრობდა თავისი [illegible]ულის გრძნობებზეც. მის ერთ[illegible]თ გატაცებად უნდა ჩაითვალოს [illegible]მა ინტერესი მეფუტკრეობისად[illegible] თითქმის მთელი თავისუფალი [illegible]რო მას გაჰყავდა საფუტკრე სკებ[illegible]ნ. პოლიტიკური თვალსაზრისით [illegible]ოზი ლიბერალურად და ანტიკ[illegible]ერიკულად იყო განწყობილი. მას [illegible]ირად ხატავდნენ უხეშ ტირანად, [illegible]ილობენ ამით ახსნა მისცენ თავი[illegible] შვილის ხასიათს. ის არ ყოფილა [illegible]რანი, მაგრამ იყო საკმაოდ ავტო[illegible]ტარი. თვლიდა, რომ უფლებამო[illegible]ლია განსაზღვროს თავისი შვი[illegible]ს მომავალი სანამ ის სრულწლო[illegible]ებას მიაღწევს.

ჰიტლერი დადიოდა ორ სკო[illegible]ში, მაგრამ ვერცერთი ვერ დაამ[illegible]ერა. თავის წიგნში ადოლფი ამას [illegible]ბდა მამისადმი პროტესტით, რო[illegible]ლსაც სურდა შვილი ჩინოვნიკად [illegible]ეზარდა, (ჰიტლერს სურდა გამო[illegible]ლიყო ხელოვნებათმცოდნე) სა[illegible]ალო სკოლაში ვაჟის წარუმატე[illegible]ობის მთავარ მიზეზს იგი მის [illegible]ისციპლინობაში ხედავდა.

ადოლფისათვის ნამდვილი ტრავმა იყო ვენის სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრა. უფულოდ დარჩენილმა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ხატვა დაიწყო. შემდეგ მან სცადა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება, მაგრამ იქაც მოეცარა ხელი. ჰიტლერი ჩავარდა მდგომარეობაში, როდესაც მას წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა მოემოქმედებინა საკუთარი ამბიციების დასაოკებლად. ამასობაში მას გაუთავდა ფული, რომელსაც მშობლები უგზავნიდნენ. ამ მომენტიდან მის ცხოვრებაში იწყება ყველაზე მძიმე პერიოდი. იგი შეუერთდა ნამდვილ ჭუჩის მაწანწალებს და მათთან ერთად ათევდა ღამეს. ახალგაზრდა ჰიტლერი გახდა უმდაბლესი მაწანწალა, რომელიც ოცნებობდა ერთ ჯამ ცხელ სუპზე.

მისი საბოლოო იმედი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა იყო. სურვილის დაკმაყოფილების შემდეგ მართლაც არ მიაჩნდა თავი დაჩაგრულად. პირიქით, თვლიდა, რომ გმირი იყო და გერმანიის დიდებისთვის იბრძოდა. მაგრამ ამბიციებმა დიდხანს არ გასტანა. ომი დამთავრდა გერმანიის დამარცხებით და რევოლუციით. დამარცხება კიდევ შეეძლებოდა გადაეტანა, მაგრამ რევოლუციის გადატანა შეუძლებელი აღმოჩნდა. მან რევოლუცია აღიქვა, როგორც მის პირად ღირებულებებსა და იმედებზე თავდასხმად, თავდასხმად სიდიადეზე, რომელშიც ის და გერმანია ერთად იყვნენ. ეს ყველაფერი იყო მით უფრო დამამცირებელი, რომ რევოლუციის ლიდერთა შორის იყვნენ ებრაელებიც, რომელთაც ჰიტლერი მრავალი წლის განმავლობაში თვლიდა თავის განსაკუთრებულ მტრებად. ყოველივე ამან საბოლოოდ დაამყარა ჰიტლერში დესტრუქციული მისწრაფებები, თანაც ყველაზე საშინელი ფორმით — შურისძიება ნებისმიერი გზით.

მან გაიცნო მცირე ჯგუფი, რომლებიც შედიოდნენ სოციალისტურ

მუშათა პარტიაში (სულ 50 ადამიანი). წლის განმავლობაში გახდა პარტიის ლიდერი, მიაღწია მის სახელის გადარჩევას გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტურ მუშათა პარტიად და წესდების შეცვლას.

ნაცისტური პარტიის ძირითად საფუძვლებში ანტისემიტიზმს გამორჩეული ადგილი ეჭირა. განსაკუთრებით ნაყოფიერად თვლიდნენ ორ იდეას: პროფესორ ჰიუნტერის ფსევდომეცნიერულ, ბიოლოგიურ თეორიას (პროფ. ჰანს ჰიუნტერი რასიზმის ოფიციალური თეორეტიკოსი იყო მესამე რაიხში) და რელიგიურ-მისტიკურ შეხედულებებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამყაროს მართავენ კეთილი და ბოროტი ძალები. ამ მდგომარეობის შესაბამისად ებრაელები, ეკლესიასთან („იეზუიტთა ორდენი“), მასონებთან და ბოლშევიზმთან ერთად თავის თავში განასახიერებენ ბოროტ ძალებს, ხოლო ჰიტლერის მიერ დაწყებული მეორე მსოფლიო ომი მიაჩნდათ გადამწყვეტ ბრძოლად ამ ორ ძალას შორის. ჰიტლერი წიგნში „Mein Kampf“ არწმუნებდა მკითხველს, თითქოს ებრაელები სარგებლობდნენ მასონობით, რათა აეძულებინათ მმართველი ფენა მათი ინტერესები განეხორციელებინათ.

ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ყველა დროსა და ყველგან ებრაელები ესწრაფვოდნენ მსოფლიო ბატონობას და მათ მიზანს წარმოადგენდა ცისფერსისხლიანი ელიტის დამხობა, რომელიც თვითონ ბუნებამ შექმნა ხალხების მმართველად. იგი ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიოდა, რომ აცხადებდა: ქრისტიანობა წარმოადგენს ებრაელთა შეთქმულების ნაწილს. იესო ქრისტე — რა თქმა უნდა, არიელი იყო და არა ებრაელი, ხოლო ქრისტიანობის შემქმნელია არა ქრისტე, არამედ პავლე. ხშირად ჰიტლერი მხატვრულად გამოთქვამდა თავის აზრს, ასე მაგალითად: ქრისტიანობას და ბოლშევიზმს აიგივებდა სიფილის თან და შავ ჭირთან, ხოლო ებრაელებს სისტემატიურად უწოდებდა ბაცილებს. „ებრაული ვირუსის აღმოჩენა, ამბობდა ის — ერთ-ერთი უდიდესი როგოლუციაა, რომელიც ოდესმე მომხდარა“...

ფიურერის აგრესიულობის ერთ-ერთი თავისებურება ის გახლდათ, რომ მას დიდი ჭალაქების იავარქმნის სურვილი კლავდა. „უდიდესი მშენებელი“, რომელიც აგებდა მიუნჰენის, ვენის, ბერლინის აყვავების გეგმებს, ამასთანავე მოწადინებული იყო დაენგრია პარიზი, მიწასთან გაესწორებინა ლენინგრადი — საბოლოო ანგარიშით კი, მთელი მსოფლიო.

ჰიტლერის მისწრაფებას გაენა-

(დასასრული მე-7 გვ.)

„ჰელსინკი უოთჩის“ მიმართვა რუსეთის მთავრობისადმი

რუსეთი გასცდა კეთილი ნების მისიის ფარგლებს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ჩემი მოსკოვში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ვსარგებლობ შემთხვევით და გიდასტურებთ ჩემს თქვენდამი პატივისცემას და საუკეთესო სურვილებს. მოხარული ვარ თქვენთან ერთად განვაგრძო რუსეთის ფედერაციასა და ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე არსებულ სხვა სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემების განხილვა. როგორც იცით, ჰელსინკი უოთჩი, ჰიუმან რატს უოთჩის ქვედანაყოფი თავის დაარსებიდან, 1978 წლიდან, მუშაობს ყოფილ საბჭოთა კავშირში დღეს კი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, ადამიანთა უფლებათა დარღვევების დოკუმენტირებულ ფიქსირებაზე და მასალების პუბლიკაციაზე. 1991 წლის მიწურულიდან, მოსკოვში ჩვენ გვაქვს ჩვენი წარმომადგენლობა, რომლის მეშვეობითაც, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს თქვენს თანამშრომლებთან, აგრეთვე რუსეთის სამთავრობო და დამოუკიდებელ სამართალდაცვით ორგანიზაციებთან.

ტერიტორიულ კონფლიქტებში ჰელსინკი უოთჩი გამოდის ნეიტრალური პოზიციებიდან. მაგრამ ჩვენ შეშფოთებულნი ვართ 1988 წლიდან ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე წარმოშობილი სხვადასხვაგვარი შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლად ქცეული სამოქალაქო პირების ბედით, რომელთაგან ათასობით დაიღუპა და დაიჭრა, ასეული ათასობით იძულებული გახდა მეტოვებინა თავისი სახლი. ბევრი ქვეყანა მიმართავს რუსეთს თხოვნით სამშვიდობო მოწესრიგების მიზნით შუამავლობისათვის და შეაიარაღებული კონფლიქტის რაიონში სამშვიდობო ძალების გაგზავნის თაობაზე. რუსეთმა იკისრა მოვალეობა — გაუწიოს სამხედრო დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის (ესნგე-ს) წევრ და რიგ სხვა სახელმწიფოებს, რომლებთანაც მან ხელი მოაწერა ანალოგიურ შეთანხმებებს ერთობლივი თავდაცვის შესახებ. ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსეთის მიერ მილიონობით მანეთის გამოყოფას ჰუმანიტარული დახმარების და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამშვიდობო ძალებისა და დიპლომატიურ შუამავალთა გაგზავნას კრიზისის რაიონებში. ამ ღონისძიებათა შედეგად გადარჩენილი იქნა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. რიგ შემთხვევებში რუსეთის ჯარები განიცდიდნენ დანაკლისს ამ სახის დახმარების გაწევისას.

მიუხედავად ამისა, ჰელსინკი უოთჩი ფრიად შეშფოთებულია იმით, რომ რუსეთი არსებითად გასცდა თავისი კეთილი ნების შესრულების ფარგლებს საქართველოში, მოლდოვაში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ ოსეთში და ტაჯიკეთ-ავლანეთში. ჩვენ ამ რეგიონებში მივავლინეთ ჩვენი კვლევითი მისიები, ვაწარმოებდით დარღვევათა მონიტორინგს, გამოვაქვეყნეთ მთელი რიგი დოკუმენტებისა ჩვენი საქმიანობის შედეგების შესახებ (იხ. მაგალითად, ჰელსინკი უოთჩის მოხსენებები: „სისხლისღვრა კავკასიაში, შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია მთიან ყარაბაღში“; „ადამიანის უფლება მოლდოვაში, მშფოთვარე დნესტრი“). ყველა შემთხვევაში ჩვენ შესაბამის მხარეებს ვაძლევდით რეკომენდაციებს ადამინის უფლებათა დარღვევათა შემცირების მასშტაბების შესახებ.

წერილში, რომელიც თქვენ გამოგეგზავნათ მიმდინარე წლის 2 მარტს, ჩვენ აღვძარით რუსეთის შეიარაღებული ძალების უდისციპლინობის შედეგად ახლო აზღვარგარეთში დესტაბილიზაციის, რიგ შემთხვევეში კი ომის წარმოების წესების პირდაპირი დარღვევის საკითხები. პასუხი არ მიგვიღია. შემდგომ პერიოდში ჩვენ გავაგზავნეთ მისია ტაჯიკეთში და აფხაზეთში და მივედით დასკვნამდე, რომ დარღვევებში მათი მონაწილეობა, რომლის შესახებაც ჩვენ მარტში ვლაპარაკობდით, გახდა კიდევ უფრო მკვეთრად გამოკვეთილი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ არის ინიციატორი და მით უმეტეს მხარე, რომელიც უშვებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უმძიმეს დარღვევებს. რუსეთის შეიარაღებული ძალების როლის უგულვებელყოფა ამ კონფლიქტთაგან არცერთში არ შეიძლება. ვიღებთ რა მხედველობაში რუსეთის ვალდებულებას, დაიცვას ჟენევის კონვენციები და მათზე დამატებული ოქმები, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ შერჩეული ფაქტების კორპუსს, დაკავშირებულთ დარღვევებთან და რიგ შემთხვევებში უკანონო ხასიათს რუსეთის მოქმედებისა საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და ავლანეთში.

რუსეთის არმიის ელემენტების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ დარღვევათა ყველაზე სერიოზულ სახეს წარმოადგენს სამოქალაქო პირებზე თავდასხმა.

ჟენევის 1949 წლის კონვენციის II დამატებითი ოქმის 13 (2) მუხლში ნათქვამია, რომ „სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც ასეთი, ისევე როგორც ცალკეული სამოქალაქო პირები, არ შეიძლება იყოს თავდასხმის ობიექტი“. ჰელსინკი უოთჩმა დოკუმენტურად დაფიქსირა ნახევრად სამხედრო ფორმირებებში რუსეთის მოქალაქე დაქირავებულთა ყოფნა და მათი თავდასხმები აფხაზეთის სამოქალაქო ობიექტებზე. ამასთან იყენებდნენ დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის მეშვეობით „გარეცხილ“ ფულს. ამ კონფლიქტებში ნახევრად სამხედრო ფორმირებები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდნენ რუსულ იარაღს და აღჭურვილობას. ჩვენ ხელთა გვაქვს მტკიცებულებები იმისა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების ცალკეული წარმომადგენლები ყიდდნენ, ცვლიდნენ, ან ზოგ შემთხვევაში ბოეიკებს გადასცემდნენ დამანგრეველ იარაღს.

მიუხედავად საწინააღმდეგო მტკიცებების არსებობისა, რუსეთის მთავრობა უმეტეს შემთხვევაში უარყოფდა რუსეთის ჯარების მონაწილეობას ახლო აზღვარგარეთში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებში. რიგ შემთხვევებში მოსკოვმა აღიარა, რომ ცალკეული სამხედრო მოსამსახურეები უშვებდნენ აგრესიულ ქმედებებს ცენტრალური სარდლობის ბრძანებების დარღვევით. სხვა შემთხვევებში მთავრობა ასეთ ქმედებებს ამართლებდა თავდაცვის, რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვისა და თვითგამორკვევის უფლების დაცვის დამოწმებით. თუმცა არც ერთი ამ მიზეზთაგანი არანაირ პირობებში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამართლებად ომის წარმოების კანონების დარღვევისა.

ჩვენ ვთვლით აუცილებლად შემდეგის აღნიშვნას:

აფხაზეთი, საქართველო

1993 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოში მუშაობდა ჰელსინკი უოთჩისა და განიარაღების პროექტის, აგრეთვე ქვედანაყოფ ჰიუმან რაიტს უოთჩის, ერთობლივი მისია, რომელიც იძიებდა ომის წარმოების კანონების დარღვევას აფხაზეთის კონფლიქტში, რომელიც წელიწადია გრძელდება. ჩვენ, ასევე ვაანალიზებდით იმ შეიარაღების ხასიათსა და წყაროებს, რომელსაც კონფლიქტის მონაწილეები იყენებდნენ. უახლოეს მომავალში ჩვენ გამოვაქვეყნებთ მოხსენებას ერთობლივი მისიის მუშაობის შედეგების შესახებ.

რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. 1993 წლის თებერვალს, ორი მხარის მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარებს საქართველოში შეუძლიათ დარჩენა 1995 წლამდე, ხოლო რუსეთის მესაზღვრეები საქართველო-თურქეთის საზღვრის დაცვას გააგრძელებენ 1994 წლამდე. გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიაზე (ბათუმში, გუდაუთაში, ახალქალაქში, ფოთში და თბილისში) არსებული რუსეთის ხუთი სამხედრო ბაზის სტატუსის განსაზღვრის შესახებ მუდმივ საფუძველზე.

რუსეთის სამშვიდობო ძალები საქართველოში განლაგებულ იქნენ 1992 წლის სექტემბერში, ორივე სახელმწიფოს მეთაურთა ერთობლივი განკარგულების საფუძველზე. ამჟამად რუსეთის ჯარების რაოდენობა საქართველოში ივარაუდება 20 ათასი კაცით. მიუხედავად ე.შევარდნაძის მტკიცებისა: „პრაქტიკულად ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთანო“, — რუსეთი უცვლელად უარყოფს თავის მონაწილეობას.

ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგს:

პრეზიდენტმა ბ.ელცინმა, თუმცაკი ამტკიცებდა ამ კონფლიქტში რუსეთის ჯარების ნეიტრალიტეტს, რუსეთის დეპუტატებს განუცხადა: „ჩვენ არ გამოვიყვანთ ჩვენს [სამხედრო] კონტიგენტს [აფხაზეთიდან], რადგან აუცილებელია აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის გაკონტროლება აფხაზეთ-რუსეთის საზღვრიდან აფხაზეთ-საქართველოს საზღვრამდე“.

უკიდურესად ნაკლებდამაჯერებელია, რომ რუსეთის მხრიდან სამხედრო დახმარების გარეშე აფხაზებს, რომელთა რაოდენობა 100 ათას კაცამდეა, დიდი ხნის მანძილზე შეძლებოდათ სამხედრო უპირატესობის შენარჩუნება ქართულ ძალებზე, რომელთაც გააჩნიათ 4 მილიონიანი საყრდენი ეთნიკური მოსახლეობა. როგორც ერთმა მეცნიერმა აღნიშნა აფხაზთა მხარეზე, მეომარ დაქირავებულების შესახებ „სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი წარმოადგენენ ყველაზე განსწავლულ, ბრძოლებში გამოწრთობილ და სულით მედგარ ჯარებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. არის საგნები, რომლებიც ვერ თავსდებიან საღი აზრის ფარგლებში.

1993 წლის მარტში, აფხაზურმა მხარემ განახორციელა ზღვიდან სოხუმის აღების წარუმატებელი ცდა. [გუდაუთის] აფხაზურ მთავრობას არ გააჩნია სამხედრო ხომალდები და ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მათი მიღება მას შეეძლო მხოლოდ რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ არ გაგვაჩნია მტკიცებულებანი, რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ბრძანებების შესახებ. ნათელია, რომ ხომალდების პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების მათთვის არაერთგზის გადაცემა, შეუძლებელი იქნებოდა მასში ხელმძღვანელობის ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის გარეშე.

უკრაინის ხელისუფლებმა რუსეთის მხარეს განუცხადეს პროტესტი, როცა ამ უკანასკნელმა ადმირალ იგორ კასატონოვის სარდლობით იმხანად ქართული ძალების კონტროლს დაქვემდებარებულ სოხუმში გააგზავნა 9 სამხედრო ხომალდი. უკრაინამ შეშფოთება გამოთქვა მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით შავი ზღვის ფლოტის უკრაინულ ეკიპაჟიანი ხომალდების გამოყენებისათვის „გაურკვეველი მიზნებისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რაიონში“. რუსეთის მხარე ამტკიცებს, რომ ხომალდები გაგზავნილ იქნა სოხუმიდან ლტოლვილთა ევაკუაციის მიზნით.

სუ-25 გამანადგურებელ-ბომბდამშენმა, არაერთხელ შეუტიეს სოხუმს, რომელსაც ქართველები ინარჩუნებდნენ მოფრინავდნენ რა, როგორც ცნობებიდან ჩანს, შავი ზღვის რაიონებით, რომელსაც რუსეთის საჰაერო თავდაცვის ძალები აკონტროლებენ. ამ დარღვევებზე მოსკოვის რეაქციის უქონლობა, გვავარაუდებინებს მასში მისი უმაღლესი ხელისუფლების მონაწილეობას.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პ.გრაჩოვმა აღიარა, რომ რუსეთის თვითმფრინავებმა 1993 წლის თებერვალში შეუტიეს სოხუმს, რასაც ამართლებდა საპასუხო დარტყმის მიყენების აუცილებლობით, ქართული ძალების თავდასხმის შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ეშელონში მდებარე საკვლევ ცენტრზე, რომელსაც ხშირად სდებდნენ ბრალს აფხაზურ მხარის ფარულ მხარდაჭერაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლები ადასტურებენ ქართული მხარის ცნობას იმის შესახებ, რომ პილოტი, ქართული გამანადგურებლების მიერ 1993 წლის 19 მარტს ჩამოგდებული სუ-25 თვითმფრინავისა, იყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი. რუსეთმა შემდეგში ეს დაადასტურა განცხადებით, რომ ფრენა წარმოებდა რუსეთის ობიექტების დაცვის მიზნით. ეს ფაქტი ფრიად საეჭვოს ხდის რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის, ისედაც ნაკლებ დამაჯერებელ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე იყენებდა 5 თვითმფრინავ სუ-25-ს რუსული განმასხვავებელი ნიშნებით, საკუთარი ჯარებისათვის ბომბური დარტყმების მისაყენებლად.

ოთხმა მოსკოველ განსწავლულმა დაქირავებულმა, რომლებიც, მათივე სიტყვებით, აფხაზთა მხარეზე მსახურობდნენ, ჰელსინკი უოთჩის/შეიარაღების პროექტის წარმომადგენლებს გაგრაში განუცხადეს, რომ მათ ჯამაგირს უხდიდნენ დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში, რომლის ბიუჯეტს, თავის მხრივ, პრაქტიკულად მთლიანად აფინანსებდა რუსეთი.

სოხუმში ბრძოლების დროს დატყვევებული რუსი იარაღით მოვაჭრე, ლაპარაკობდა „რუსეთის ჯარისკაცების პირდაპირ მონაწილეობაზე საბრძოლო მოქმედებებში, რაკეტების მგზავების (наводчик-ის) ჩათვლით, რომლებიც აგდებდნენ თვითმფრინავებს და ა.შ.“. მან აგრეთვე გვაცნობა ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიის იარაღის აფხაზთა მხარისთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

ბორის პასტუხოვმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და პრეზიდენტ ელცინის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოს კონფლიქტის ზონაში, მიმართავდა რა საქართველოს მთავრობას, განაცხადა: „ჩვენ არ მოგცემთ თქვენ აფხაზეთთან ომის მოგების საშუალებას“. („Мы не позволим вам выиграть войну против Абхазии“)

მოლდოვა

1992 წლის აგვისტოში ჰელსინკი უოთჩმა გამოიძია ომის წარმოების კანონების დარღვევები მოლდოვის აღმოსავლეთ ნაწილში და გამოაქვეყნა სათანადო მოხსენება. იმ დროს ჩვენ რუსეთის მთავრობას ეურჩიეთ რუსეთის ჯარების მონაწილეობის შემთხვევების გამოძიება ომის წარმოების კანონების დარღვევებში და პროცესუალური ნორმების შესაბამისად დამნაშავეთა დასჯა.

მოლდოვას არა აქვს რუსეთთან დადებული არანაირი ხელშეკრულება ერთობლივი თავდაცვის თაობაზე. რუსეთის მე-14 არმია მოლდოვას ტერიტორიაზე იმყოფება 1945 წლიდან. მისი პირადი შემადგენლობის რაოდენობა ივარაუდება 10-დან 20 ათას კაცამდე.

რუსეთი არ ეთანხმება ბრალდებას კონფლიქტში მისი მონაწილეობის შესახებ, თუმც კი აღიარებს, რომ რუსეთის არმიის ელემენტები მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში და ამარაგებდნენ ამბოხებულებს იარაღით. მიუხედავად მოლდოვის მთავრობის მიერ რუსეთის პოზიციის თანმიმდევრული გაკიცხვისა, მოლდოვა ჯამში დათანხმდა რუსეთის ნაწილებისა და ქვეგანყოფების მოლდოვას აღმოსავლეთ ნაწილში მშვიდობის დაცვის მიზნით განსახორციელებელ ოპერაციებში მონაწილეობას.

1992 წლის კონფლიქტის მიმდინარეობისას, მოლდოვას აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობა ომის წარმოების წესების დარღვევაში, ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბების გაფართოებაში, რომელსაც ხელი შეუწყო არაღის გადაცემამ ამგვარი დარღვევების დამშვები მხარეებისადმი. „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ძალები“, ღიად მონაწილეობდნენ შეიარაღებულ კონფლიქტში მოლდოვის მთავრობის ძალებთან. მოლდოვაში რუსეთის ძალების — რუსეთის მე-14 არმიის — პოზიციის გამაგრება და სეპარატისტული ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა სავსებით ნათელია. მოსკოვს არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ დაესაჯა აშკარად დაუმორჩილებლობაში დამნაშავენი. პირიქით, ბევრ შემთხვევაში მათ აჯილდოებდნენ „განსაკუთრებული დამსახურებებისათვის“. უფრო მეტიც, კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის ოფიციალური ახსნა — მოლდოვას რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა — კრიტიკას ვერ უძლებს: დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკაში ცხოვრობს მოლდოვას რუსულენოვანი მოსახლეობის 1/4ზე ნაკლები (დაახლოებით 100 ათასი კაცი), უდიდესი უმრავლესობა (460 ათასი კაცი) კონფლიქტის დროს რჩებოდა „დაუცველი“ მოლდოვას დანარჩენ ტერიტორიაზე.

ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგს:

პრეზიდენტი ელცინი აღიარებს დნესტრისპირეთში რუსეთის არმიის ელემენტების მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში და მხარეთა იარაღით მომარაგებაში. 1992 წლის 27 მაისს, ინტერვიუში მან განაცხადა: „რასაკვირველია, მე-14 არმიის ოფიცერთა შორის არიან დნესტრისპირეთის მომხრეები და ისინი ზოგჯერ აღჭურვილობითურთ გადადიან დნესტრისპირეთის ხალხის მხარეზე“.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა, რომელმაც თავისი ვინაობა არ გაამხილა, განაცხადა, რომ „მე-14 არმიის კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ ბრძანება, მოსკოვის ხელმძღვანელობიდან მოვიდა, თუმცა მიზანი უმალვ ძალის დემონსტრირება იყო, ვიდრე ომის წარმოება“.

დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანმა ვალერი ლიცკაიმ, აღიარა, რომ რუსეთის არმიის ზოგმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ერთგულების ფიცი და ბრძოლებში ამ უკანასკნელის მხარეზე მონაწილეობდა.

მარშალმა ე.შაპოშნიკოვმა ესნგეს შეიარაღებული ძალების იმჟამინდელმა მთავარსარდალმა, განაცხადა, რომ არ გამორიცხავს „სამხედრო ტექნიკის ხელში ჩაგდების შემთხვევებს [დნესტრისპირეთის რესპუბლიკის გვარდიელების მიერ], ზოგიერთი ოფიცრის ხელშეწყობით“ და უშვებს, რომ ოფიცრებსა და გენერლებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოდიოდნენ] დნესტრისპირეთის] დაცირებული და შეურაცხყოფილი ხალხის დასაცავად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სამხედროთა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ...ისი ვინაობა არ გაამხილა, აღიარა, რომ „ყაზარმებიდან ჯარისკაცები ...ოიყვანეს შდნესტრისპირეთისწ რუ...ენოვანი რაიონების დასაცავად“.

ცნობების მიხედვით, რუსეთის ...ერობა ფინანსურ დახმარებას ...ს დნესტრისპირეთის მოლდაკურ ...პუბლიკას. ამ რესპუბლიკის უმა...ესი საბჭოს თავმჯდომარემ გრი...ი მარაკუცამ 1992 წლის 12 ...ემბერს პრესკონფერენციაზე, ტი...ულში განაცხადა, რომ „რუსეთი ...ტრისპირეთს უწევს არა მარტო ...ალურ და პოლიტიკურ, არამედ ...ერიალურ და სამხედრო დახმარე...“.

ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნა...სტი იტყობინებოდა, რომ „დახ...ება კულისებს იქიდან მოდის... ...სტრისპირეთის (sic) ბანკები ...ს სამყაროსთან დაკავშირებული ...ან რუსეთის ცენტრალურ ბან... მათი ანგარიშების მეშვეობით“.

რუსეთის მთავრობა ხელმძღვა...ობდა ნახევრად სამხედრო ფო...ერებებთან — „დნესტრისპირე... მოლდოვური რესპუბლიკის ...ებთან“, — რომელიც პასუხი...ელია საერთაშორისო ჰუმანი...ული სამართლის მრავალგზისი ...ევებისათვის, რუსეთის მე-14 ...ის ფაქტიურ შერწყმას.

1992 წლის 1 აპრილს პრეზი...ტმა ელცინმა გამოსცა ბრძანე...ება მე-14 არმიის უშუალოდ ...ოვის დაქვემდებარებაში გადაყ...ის შესახებ.

1992 წლის 21 მაისს დნესტ...ისპირეთის რესპუბლიკის ლიდერმა ...ა განკარგულება მე-14 არმიის ...ისი ოურისდიქციაში გადაყვანის ...ახებ:

1992 წლის 17 ნოემბერს გაც...და, რომ დნესტრისპირეთიდან ...ეული მე-14 არმიის პირადი ...ადგენლობის მხოლოდ 80+ იმ...ურებს დნესტრისპირეთის რეს...ლიკაში, დანარჩენები — რუსე... არმიაში.

1992 წლის ნოემბრის ბოლოს ...4 არმიის სარდალმა გენერალ...ტენანტმა ალექსანდრ ლებედმა, ...ტრისპირეთის მოლდაკური რე...ლიკის ხელმძღვანელობასთან ...ი მოაწერა შეთანხმებას, სამ...რო ქონების დნესტრისპირეთის ...ებისათვის გადაცემის შესახებ.

1992 წლის მაისის შუა ხანე... როგორც იტყობინებიან, მილ...ლ იქნა ორმხრივი შეთანხმება, ...ის მხრივ დნესტრისპირეთის ...ოდაური რესპუბლიკის ხელისუ...ებასა და მეორეს მხრივ რუსე... თავდაცვის მინისტრ პ.გრა..., მე-14 არმიის სარდალ ნეტ...ის შორის „მე-14 არმიის უშუ..., პირდაპირი მონაწილეობის ...ებ დნესტრისპირეთის კონფ...ტში“. რუსეთის თავდაცვის მი...რმა პ.გრაჩოვმა გამოსცა ბრძა..., რომელშიც ნათქვამია: „დნე...ისპირეთში სიტუაციის გართუ...ასთან დაკავშირებით და იქი...გამომდინარე, რომ ეს რუსული ...ა, ჩვენ ვალდებული ვართ ...ცვათ ის ყოველგვარი საშუა...ებითა და მეთოდებით“. მინის... აგრეთვე ჩამოთვალა იმ ...ედრო ტექნიკისა და საჭურვე... სახეობები, რომლებიც ექვე...არებიან [დნესტრისპირეთის] ...ერდიისათვის გადაცემას“.

1992 წელს მოდიოდა მრავალ...ოვანი ცნობები დნესტრისპირე... ძალებთან ერთად მე-14 არმიის ...წილეობის შესახებ თავდასხმებში ...ებზე — უსტიე, ხოლერცინი, ...ლიკ და მასკაუტი, სადაც დიდი ... მსხვერპლი სამოქალაქო მოსახ...ბაში.

დასავლელი ჟურანალისტები იტ...ენებიან მრავალრიცხოვან შემთხ...ვაზე, როცა ისინი ხედავდნენ ...ძოლო მოქმედებებში რუსეთის ...ესაცებს. ერთ-ერთ სანიშუშო ...ადებაში აღნიშნული იყო, რომ ...ეთის არმიის ნაწილები და ქვე...ოფიცები მონაწილეობდნენ დნესტ...ისპირეთის ძალების მიერ ბენდერის ...ინას) აღებაში 1992 წლის 22 ივნისს, რუსეთის ჯარების, ...ების, ბეტეერების და მძიმე ...ტების გამოყენებით.

პრეზიდენტ ელცინის მრჩეველმა სერგეი სტანკევიჩმა და რუსეთის სხვა სახელმწიფო მრჩეველებმა ასევე დაადასტურეს, რომ მე-14 არმია მონაწილეობდა 19—22 ივნისის შეტევაში. შეტევის დროს ასობით სამოქალაქო პირი დაიჭრა და დაიღუპა, მნიშვნელოვნად დაზარალდა ეს დასახლებული პუნქტი.

დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკის ადგილობრივი ბოევიკების ცნობით, მათი თხოვნით ბენდერში მათ მე-14 არმიისგან მიიღეს ბეტეერები. კითხვაზე, ვინ გასცა ბრძანება ტექნიკის გადაცემის თაობაზე, ერთ-ერთმა ბოევიკმა სერგეი ზუბკოვმა, განაცხადა: „აქ ასე არ კეთდება. ჩვენ ბიუროკრატები არა ვართ. 59-ე დივიზიის მეთაურები და ბიჭები ყველანი გვიცნობენ და მათ მოგვაცეს ჩვენ ახალი ბეტეერები“. ზუბკოვმა დაამატა, რომ მას შემდეგ, რაც ცალკეული გამოხდომები რეგიონში გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში, დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასა და მე-14 არმიას შორის მკვეთრად გაუმჯობესდა. მან თქვა: „წინათ ჩვენ გვიხდებოდა ტექნიკის ზვეწნა-მუდარით მოპოვება. ახლა ისინი თვითონ მოდიან და გვთავაზობენ მას“. დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკის ნახევრად სამხედრო ფორმირებების საბრძოლო ტექნიკით ასომა მომარაგებამ, როგორც გვატყობინებენ, ფართო გაერცელება ჰპოვა და ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა კონფლიქტის დროს.

რუსეთმა თავისი ჯარებისა და ტექნიკის მოლდოვადან გაყვანის პირობად დასახა მოლდოვას შემადგენლობაში დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა. ალექსანდრე რუცკოიმ, ამ განცხადების დროს ვიცე-პრეზიდენტმა და პრეზიდენტ ელცინის სპეციალურმა წარმომადგენელმა მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებში, 1992 წლის 15 ივლისს განაცხადა: „მე არ ვლაპარაკობ საკუთრივ სტატუსზე [ტერიტორიისა, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს დნესტრისპირეთის რესპუბლიკა]..., მაგრამ ასეთი სახის სტატუსი, ცხადია, აუცილებელია როგორც საშვიდობო ძალების გაყვანის წინა პირობა“ მოლდოვას ტერიტორიიდან. 1992 წლის 8 ოქტომბერს პრეზიდენტმა ელცინმა გასთქვა დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკის სტატუსი: „ჩვენ მივაღწიეთ ჩვენს მიზნებს დნესტრისპირეთში (sic)... ჩვენ დაყინებით მოვითხოვთ, რომ მოლდოვას პრეზიდენტმა დაარწმუნოს პარლამენტი მისცეს დნესტრისპირეთს პოლიტიკური სახელმწიფოებრიობა, რომელსაც შეეძლო რეგიონში თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა“.

პრეზიდენტ ელცინის ბრძანებით გენერალ-მაიორ ლებედს, რუსეთის მე-14 არმიის სარდალს და დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკის ფაქტიურ სამხედრო ხელმძღვანელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. დაჯილდოების ცერემონია ტირასპოლში 1992 წლის 2 ოქტომბერს ადასტურებს მისი საქმიანობის სრულ მოწონებას. ელცინის მთავრობამ ასევე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მედლებით დაჯილდოვა 200-მდე ისეთი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მონაწილეობდნენ მოლდოვას მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, დნესტრისპირეთის მოლდაკური რესპუბლიკაში განლაგებული რუსული კონტიგენტის მხრიდან დისციპლინის და ომის წარმოების კანონების დარღვევათა გამორკვევის დაწყებისა.

ტაჯიკეთი და ავღანეთი

1992 წლის ივნისში და 1993 წლის ივნისში, სამართალდამცველ ცენტრ „მემორიალთან“ ერთად, ჰელსინკი უოჩმა გააგზავნა მისიები. ჩვენ გამოვაქვეყნეთ წინასწარი მოხსენება ამ მისიების მუშაობის შესახებ და ვგეგმავთ უახლეს მომავალში მთელი მოხსენების გამოქვეყნებას.

რუსეთმა ენერგიულად და უპირობოდ დაუჭირა მხარი ავღანეთის მთავრობას სამოქალაქო ომში. რუსეთ-ტაჯიკეთის 1993 წლის 25 მაისის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ ითვალისწინებს, რომ რუსეთის ჯარები დარჩებიან ტაჯიკეთში ტაჯიკეთის მთავრობის მიერ საკუთარი სასაზღვრო ჯარების შექმნამდე. ტაჯიკეთში რუსეთის ჯარების კონტიგენტი შედგება დუშანბესა და კურგან-ტიუბეში განლაგებული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 201-ე მოტომსროლელი დივიზიისა და დაახლოებით, 3,5 ათასი მესაზღვრისგან, რაც შეადგენს ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე განლაგებული ძალების აბსოლუტურ უმრავლესობას. 201-ე დივიზია დისლოცირებული იყო ტაჯიკეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე; მესაზღვრეები კი შემოვიდნენ 1992 წლის დეკემბერში ესენგეს ქვეყნების ერთობლივი გადწყვეტილების შესაბამისად. პრეზიდენტმა ელცინმა უშიშროების მინისტრი ვიქტორ ბარანნიკოვი გაათავისუფლა 1993 წლის ივლისში (საგუშაგოზე თავდასხმის შედეგად 25 რუსი მესაზღვრის დაღუპვის შემდეგ) ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე რუსეთის მესაზღვრეთა არაუფლებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით. (ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გადაყენების მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ბარანნიკოვის დასჯა მისი პოლიტიკური არალოიალობისათვის პრეზიდენტ ელცინისადმი).

თუ ვიმსჯელებთ მოსკოვის ამასწინანადელი განცხადებების მიხედვით, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას თუმც პირდაპირი დასტური არ მიუცია ამაზე, გარკვეულწილად ხელი ურევია რუსი ჯარისკაცების აგრესიულ მოქმედებაში ტაჯიკეთსა და ავღანეთში სამოქალაქო პირების მიმართ. ამა წლის ივლისში ელცინმა განაცხადა, „ყველას უნდა ესმოდეს, რომ საზღვარი არსებითად რუსეთისაა და არა ტაჯიკეთისაო“. იმავე თვეში თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა ესენგეს ტელევიზიით განაცხადა: „ჩემი ამოცანაა, დავამუშაო და მივიღო შესაბამისი ზომები, რათა კონტროლის ქვეშ ვიყოლიო მოწინააღმდეგე, გავანადგურო იგი ისე, რომ მომავალში ვერავინ შესძლოს რუსეთის მოქალაქეებზე ხელის აღმართვაო“. ავღანური ომის კატასტროფული შედეგების შუქში აუცილებელია, რომ რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული წინდახედულობით იმოქმედოს.

რუსეთის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი იარაღს არ აწვდის კონფლიქტის მონაწილე არც ერთ მხარეს. ჰელსინკი უოჩი გამოიძიებს აგრეთვე უზბეკეთის ჯარების მიერ ტაჯიკისტანში ომის წარმოების კანონთა დარღვევას და მათ მიერ მხარეებისადმი გაწეულ დახმარებას, რითაც დაშვებულია ადამიანთა უფლებათა დარღვევა.

ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგს:

1992 წლის 27 ივნისს, როგორც იტყობინებიან, კოლიუბელებმა იერიში მიიტანეს ყურბან-ტიუბეზე. მოიკლა 30-დან 40-მდე ადამიანი. როგორც გვატყობინებენ, თვითმხილველებმა მაშინათვე, იერიშის შემდეგ დაადასტურეს, რომ ბრძოლაში მონაწილეობდა რუსების სამი „ბეტეერი“ და ერთი ტანკი. რუსეთის არმიის წარმომადგენლმა განაცხადა ივლისის დამლევს პრესკონფერენციაზე, რომ მოქმედებდა მხოლოდ ერთი ტანკი.

1992 წლის დეკემბრის შუაში, როგორც იტყობინებიან, რუსეთის 201-ე დივიზია უზბეკეთის ძალებთან ურთიერთქმედებით მონაწილეობდა ოპოზიციის საყრდენი პუნქტის — სოფელ კოფარნიხონის აღებაში.

1992 წლის 22 დეკემბერს რუსეთისა და უზბეკეთის ჯარები, როგორც იტყობინებიან, ტაჯიკეთის მთავრობის ძალებს ეხმარებოდნენ ოპოზიციის ორი პუნქტის დაკავებაში დუშანბეს მახლობლად, საბრძოლო შეეულმჩერენების გამოყენებით.

ტაჯიკეთის ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე საიდიმ ზუხაროვმა განაცხადა 1993 წლის 15 იანვარს, რომ რუსეთის 50-დან 60-მდე ჯარისკაცმა მონაწილეობა მიიღო ტაჯიკეთის მთავრობის ძალების მიერ როგუნის გაწმენდის ოპერაციაში, დუშანბეს აღმოსავლეთით. მან დაადასტურა ტანკებისა და ბეტეერის გამოყენება, რომლებმაც შეკრეს გზები და ასრულებდნენ გაცილების ამოცანებს როგუნისა და ობიგარნის მიმართულებით. მან უარყო ამასთან ერთად შეეულმჩერენების გამოყენება, რასაც იტყობინებოდნენ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები.

1993 წლის 15 ივლისს, როგორც გვატყობინებენ, რუსეთის ჯარები შეუდგნენ ჩახ-აბასთან, ტახარის პროვინციაში ავღანური სოფლებისთვის ოთხდღიან საარტილერიო დაშენას, რის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა 80 სული. როგორც იტყობინებიან, დანაკარგმა შეადგინა 360 სული და 6000 ადამიანი იძულებული გახდა თავისი საცხოვრებელი მიეტოვებინა.

1993 წლის 25 ივლისს რუსეთის 201-ე დივიზიის ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა ტაჯიკეთის მთავრობის ჯარებთან ერთად, არსებული ცნობების მიხედვით, ცეცხლი დაუშინეს მეამბოხეთა პოზიციებს ავღანეთის საზღვრის მახლობლად, რაც იყო ერთ-ერთი რამდენიმე ამგვარ ოპერაციას შორის.

1993 წლის 28 ივლისს რუსეთის 201-ე დივიზიის ნაწილებმა და ქვეგანაყოფებმა ტაჯიკეთის მთავრობის ჯარებთან ერთად „მასირებული საარტილერიო და სანადმტყორცნო დარტყმა მიაყენეს“ ავღანეთის ტერიტორიას ტაჯიკური ოპოზიციის ძალთა განადგურების მიზნით, რომლებსაც მხარს უჭერდა ავღანური მხარე. ავღანეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ამის შედეგად დაიღუპა, დაიჭრა და იძულებული გახდა საცხოვრებელი მიეტოვებინა ასობით მოქალაქე.

რუსეთის ხელისუფალთ პრაქტიკულად არავითარი ზომა არ მიუღიათ იმ უაღრესად შემოსაკლიანი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც მდგომარეობს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ იარაღის გაყიდვაში.

ითვლება, რომ 1992 წლის მაისიდან რუსეთის 201-ე დივიზია პრეზიდენტ ნაბიევს დაეხმარა დაახლოებით 1800 ავტომატის გაცემაში მთავრობის მომხრეებისათვის ოზოდის მოედანზე დუშანბეში. თუმცა პოლკოვნიკმა ანატოლი ივლევმა, 201-ე დივიზიის მეთაურის მოადგილემ საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის დარგში კატეგორიულად უარყო ეს მტკიცებანი. გადამდგარმა პოლკოვნიკმა, რომელიც ინსტრუქტორად მუშაობდ 201-ე დივიზიაში, განუცხადა ჰელსინკი უოჩის [არმომადგენლებს]: „ჩვენ ვაძლევდით შავტომატებსწ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რახმონოვმა (იმ დროს თავდაცვის კომიტეტის მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა) იარაღი მისცა ოპოზიციას. იქ იყო სამხედრო კომისარიატი. ისინი ბიჭებს ასწავლიდნენ დამიზნებასა და სროლას“. 1992 წლის დამლევს სამთავრობო ჯარებმა კურგან-ტიუბეს რუსული გარნიზონისგან მიიღეს ექვსამდე საბჭოთა ტანკი.

უეჭველია, რომ რუსეთის ძალებს სხვადასხვა ზომით ხელი ურევიათ აქ განხილულ კონფლიქტებში. გაურკვეველი მხოლოდ ის არის, თუ რა დონეზე ხდებოდა ბრძანებების გაცემა. აქ წარმოდგენილი ფაქტების შუქზე — რომელთაგანაც ჩვენ მხოლოდ ზოგი მოვიყვანეთ — ჰელსინკი უოთჩს მხოლოდ ის შეუძლია, რომ გულწრფელად მიესალმოს თქვენს 1993 წლის 28 თებერვლის განცხადებას, რომ „დადგა დრო, როცა სრულუფლებიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გაეროს ჩათვლით, რუსეთს მიანიჭონ განსაკუთრებული რწმუნებანი, როგორც მშვიდობისა და სტაბილობის გარანტს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“. მშვიდობის დაცვა სერიოზული პასუხისმგებლობაა, რომელსაც დამსახურება სჭირდება წარსულში დამტკიცებული ნეიტრალიტეტის საფუძველზე.

თუკი, როგორც თქვენ აცხადებთ, რუსეთი მართლაც „გულწრფელად დაინტერესებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების შეწყვეტაში“, მაშინ ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, მიიღოთ გარკვეული გადაუდებელი ზომები, რათა შეამციროთ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის მასშტაბები, რომლებიც გამოწვეულია ან დამძიმებულია რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების ზოგ წარმომადგენელთა უპასუხისმგებლო, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი მოქმედებით:

— უზრუნველყოთ მკაცრი დისციპლინა სამხედრო სარდლობის ყველა დონეზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის ინტერესებში

— გადაჭრით და საჯაროდ დაგმოთ დარღვევები, რომლებიც ჩადენილია რუსეთის ძალების ან მათი ცალკეული წარმომადგენლების მიერ

— სამართალში მისცეთ და ჯეროვანი გარჩევის შემდეგ დასაჯოთ მთელი სიმკაცრით, საერთაშორისო პროცესუალური სტანდარტებისადმი სრული შესაბამისობით, რუსეთის ის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც დაარღვიეს ომის წარმოების კანონები ან რომლებიც აიარაღებენ, წვრთნიან ან სხვა რამ საშუალებით ეხმარებიან ნახევრად სამხედრო ფორმირებებს, რომელნიც არღვევენ ადამიანის უფლებებს.

— უახლოეს დროში შეუერთდეთ გაეროს 1989 წლის 4 დეკემბრის კონვენციას, რომელიც კრძალავს დაქირავებულ მებრძოლთა გადაბირებას, გამოყენებას, დაფინანსებასა და გაწვრთნას, და ენერგიულად დაიცვათ ამ კონვენციის დებულებები

— გაარკვიოთ და ფართოდ გამოაქვეყნოთ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის „სტრატეგიული ინტერესების“ კონცეფცია

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის წინამდებარე წერილში აღძრული გადაუდებელი საკითხების მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ მივიღებთ თქვენს მოსაზრებებს და თქვენთან ერთად ვიშრომებთ დღეგანდელი სიტუაციის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

პატივისცემით
ჯერი ლეიბერი,
აღმასრულებელი დირექტორი

ასლები:

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ა.კოზირევს

რუსეთის თავდაცვის მინისტრს პ.გრაჩოვს

რუსეთის წარმომადგენელს გაეროში ი.ვორონცოვს

რუსეთის ელჩს აშშ-ში ვ.ლუკინს

გაეროს გენერალურ მდივანს ბ.ბუტროს გალის

აშშ-ს პრეზიდენტს ბ.კლინტონს

აშშ-ს თავდაცვის მინისტრს ლ.ესპინს

აშშ-ს სამხედრო შტატების გაერთიანებული კომეტეტის უფროსს ჯ.შალიკაშვილს

აშშ-ს ელჩს ს.ტალბოტ ტომას უ.სიმონს უმცროსს

აშშ-ს ელჩს რუსეთის ფედერაციაში ტ.პიკერინგს

აშშ-ს ელჩის ტაჯიკეთში ს.ეს-ჯუდეროს

აშშ-ს ელჩს საქართველოში კ.ბრაუნს

აშშ-ს ელჩს მოლდოვაში მ.პენ-დლტონს

აშშ-ს ელჩს ავღანეთში აბდულ რაჰიმს

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ტ.პრესტონს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორს მ.კანდესუს

„Overseas Private Investment Corporation“-ის თავმჯდომარეს რ.ჰარკინს

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შამშად აჰმადს

თარგმნა
აბესალომ ტულუმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ჯაბა იოსელიანს

დასასრული

ლოვსაც არ გაგვიელია იმ დღეებში და სამი დღის შემდეგ გაგვანთავისუფლეს, სამაგიეროდ, ჩვენგან კანონიერად გაფორმებული სანადირო თოფი აგვწაპნესო.

ახლა მეორედ იხელთა იმ სომეხმა დრო. გვიჩივლა. მოვიდნენ და ბიჭის დაჭერასთან ერთად ხელს კვლავ რაღაც-რაღაცეები გააყოლეს...

იმ რაღაც-რაღაცეებს და თოფს არ ვჩივით, უდანაშაულო შვილი გამოუშვანო.

იქნება მართალია ის სომეხი მეზობელი-მეთქი — ნაფიცი გამომძიებელივით კვლავ ჩავეძიე.

რაღა იმ ჯრთ სომეხს უჯერებთ ბატონო, აგერ მთელი ქუჩა რას წერს ჩვენზეო, — მითხრეს და უზარმაზარი არზა მიჩვენეს, სადაც ნიაღვრის ქუჩის მთელი ნიაღვარი ხალხი აწერდა ხელს მათი კაიკაცობის შესახებ.

მიტინგებზე ჩვენ არ დავდივართ, საიდუმლო კრებებს ჩვენ არ ვაწყობთ და ამ გამსახურდიას სიყვარული მაინც რა მანქანებით უნდა დაგვმტკიცონო?

გიყვარდეთ ბატონო, — სიყვარულისთვის ვინ მოუკლავთ-მეთქი.

— ა, თქვენც არ გჯერათ, თქვენც რაღაცას ეჭვობთ, რა ვქნათ ახლა, გავალთ და თუ გინდათ ხატზე გადავცემთ იმ გამსახურდიას. არ ვართ ბატონო, ჩვენ ის ხალხიო...

რაღაც ტყვიები „გვიპოვეს“ კიდევ სახლში, რომელიც ჩვენთვისაც აღმოჩენა იყო...

ასე მარტივად არ იქნება საქმე-მეთქი, ვიფიქრე და ობიექტური სურათის დასადგენად მთაწმინდის რაიმილიციის უფროსს გამოვეცხადე.

მიცნო. ჩემი პატივისმცემელი კაცი აღმოჩნდა და მეგობრულად მითხრა — ზვიადისტობის გამო კი არა, სახლში ტყვიები ვუპოვეთ და იმიტომ დავიჭირეთო.

ბატონო ჯაბა, რა უფლება გვაქვს „ზვიადისტებს“ ვენდოთ და არა ჩვენს პატიოსან მილიციას...

ვთქვათ, ის ტყვიები, კი არავინ დაყარა, მართლა იპოვეს ოჯახში.

(მეტ ბრალდებას მათ ვერ უყენებენ).

თუ ახლა ინანიებს კაცი (მით უფრო, საერთოდ უარყოფს ამ ფაქტს), რა ვქნათ, ავდგეთ და მოვაცილოთ ამ ცხოვრებას?

სამოქალაქო ომი გამსახურდიას გაქცევით დამთავრდა. პირადად თქვენ, იმ შეიარაღებულ პირებს გუშინ-გუშინწინ ავტომატით რომ გებრძოდნენ, დიდსულოვნად უცხადებთ, ჩაგვაბარეთ იარაღი და წადით საკუთარ სახლებშიო.

ეს სასიკეთო პროცესი მართლაც დაიწყო. ის კი არა, ლამის არის ჩვენი ძმების სისხლში თავფეხიანად ამოსვრილ აფხაზებთან ვაცხადებთ მშვიდობიანად თანაცხოვრების მზადყოფნას და ასეთ დროს ციხეში იჯდეს კაცი იარაღის კი არა, შინ ტყვიების „შენახვისათვის“?

კაცი, რომელიც აცხადებს, მე არც ერთი არ მიქნიაო და არც არაფერი უმტკიცდება?

არის ამაში ლოგიკა?

და თუ არ არის ლოგიკა, გთხოვთ, დროულად მივეშველოთ ამ შეძრწუნებულ ოჯახს, რაც სამართლიანიც იქნება და კეთილშობილურიც. ციხის ყოველი დღე პატიმრის სიცოცხლისათვის საშიშია, რადგან დათო ხუციშვილი პოლიართრიტით არის დაავადებული და შესაძლოა უდანაშაულო ადამიანის ცხოვრება ასე უსაფუძვლოდ ტრაგიკულად დამთავრდეს. ხოლო ამ „პრინციპულ“ დამჭერებს შეახსენოთ, რომ ასეთი პრინციპულები ქალაქში მონავარდე მკვლელების მიმართ იყვნენ, რომელთა შიშით კაბინეტიდან ვერ გამოუყვიათ თავი...

საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს

(დასასრული)

სერიოზული სტატია, სადაც ისლამის არსზე იყო საუბარი. ამ წერილს რატომღაც აღუშფოთებია ბატონი ასლან აბაშიძე, რომელმაც ტელეეკრანიდან გაზეთ „საქართველოს“ დახურვაც კი მოითხოვა. აბაშიძის გაგულისებას, მე, რა თქმა უნდა, არ შევუშფოთებივარ, მაგრამ სამაგიეროდ შეძრწუნებულა ხსენებული დაწესებულების რექტორი, ვინაიდან წერილის ავტორი მისი თანამშრომელი იყო.

არიქა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს არ ეწყინოს ეს ახალგაზრდა ჩემთან რომ მუშაობსო — ეტყობა იფიქრა რექტორმა და მეცნიერი კაცი სტატიის დაწერისათვის არც აცივა, არც აცხელა და მოხსნა.

ისტორიას რომ არ დაეკარგოს, ახლა დოცენტ ფუტკარაძის მიერ ხელმოწერილი ბრძანების ტექსტსაც შემოგთავაზებთ:

გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტი

ბრძანება №133

18 ოქტომბერი, 1993 წელი

მასწავლებელ აბესალომ ასლანიძის ქცევის შესახებ

მასწავლებელი აბესალომ ასლანიძე არ ასრულებს კეთილსინდისიერად ფნიოს კოოპერაციული ინსტიტუტის დებულებას პროფესორ-მასწავლებლის შესახებ. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „უმეცრების თავშესაფარი“ მან გამოავლინა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლისათვის ეშფერებელი ქცევა. ის უტაქტოდ ექცევა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელებს. არ ითვალისწინებს ინსტიტუტის რექტორატის რჩევა-დარიგებას.

ვბრძანებ

1. მასწავლებელი აბესალომ ასლანიძე აწლის 18 ოქტომბრიდან განთავისუფლდეს სამუშაოდან.

გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი შ.ა.ფუტკარაძე

ბატონო თამაზ, ამ განცხადების კომენტარი თქვენთვის საჭირო არ იქნება, მაგრამ ასეთი რექტორების ქცევა თუ დარჩა უკომენტაროდ, განათლების სისტემა მართლა დაგვექცევა, თქვენ რას იტყვით?

ისეთი დროა, ფსიქოლოგი ყველას გვჭირდება...

ხუთი წლის წინ, სპიტაკიდან დაბრუნებულ ფსიქოლოგიის დოქტორ ნოდარ სარჯველაძისთვის, ერთ-ერთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს უკითხავს — მიწისძვრით გამოწვეულ ნგრევის ზონაში, მართლა იყო მოროდიორობის ფაქტებიო?

ბატონ ნოდარს რომ დაუდასტურებია, შემკითხველს გაუოცებია — შეიძლება ჭართველი კაცი ისე დაეცეს, მსგავსი მოქმედება ჩაიდინოსო?

აი, ამაზე კი ბატონ ნოდარს აღარ დაუკრავს კვერი, თუმცა იმ პოლიტიკურ მოღვაწის რწმენა ამით ოდნავადაც არ შერყეულა.

არადა მაშინ, ალბათ მართლაც ძნელი სავარაუდო იყო, რომ ბევრი ჩვენიანი, არა მარტო მოროდიორობაში, სხვა უფრო მძიმე დანაშაულობებით, პირველ რიგში კი ძმათა მკვლელი ომით გამოიჩენდა თავს.

მაშინ ვერც იმას ვიფიქრებდით, რომ კატაკლიზმების სამიზნედ გადავიქცეოდით და, თითქმის სამასი ათასი კაცი უკან დადევნებულ სიკვდილს გამოექცეოდა — თავის მშობლიურ კერას მიატოვებდა. ერთბაშად უპოვრად გადაიქცეოდა.

(ეს ყველაფერი გარკვეულწილად იმიტომაც მოხდა, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს აკლდათ ფსიქოლოგიურად განსჯის უნარი).

დღეს განსაკუთრებით ლტოლვილებს უჭირთ. განცდილ-გადატანილმა სტრესებმა, მათ საკმაოდ მძიმე დაღი დაასვა. მათ შორის საკმაოდ არიან ისეთები, რომელთაც გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ.

სწორედ ამიტომ ვეწვიეთ ბატონ ნოდარ სარჯველაძეს. ჩვენი საუბარი გაიმართა ქავთარაძის 16-ში მდებარე, მეორე საავადმყოფო-პოლიკლინიკაში.

აქ 25 ნოემბერს, მე-7 სართულზე ამოქმედდა კლინიკა „უნივერსალი“, რომელიც უფასო ფსიქოლოგიურ სამსახურს გაუწევს ლტოლვილებს.

* * *

— ეს ჩვენი, ფსიქოლოგთა ერთი გუნდის კერძო ინიციატივაა. სამწუხაროდ, რამდენადაც მე ვიცი, საქართველოში არაა ისეთი სერიოზული ფსიქოლოგიური დაწესებულება, რომელიც დახმარებას გაუწევს სტრესით შეწუხებულ ადამიანებს.

ამგვარი დაწესებულების აუცილებლობაზე, თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ისეთ მოწესრიგებულ და განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სტრესით გამოწვეული ზარალი წელიწადში 50 მილიონ დოლარს აღწევს. თუმცა იქ უამრავი სახელმწიფო თუ კერძო ფსიქოლოგიური კლინიკები და ცენტრებია გახსნილი.

ჩვენი დუხჭირი ცხოვრება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ანალოგიური ზრუნვა გამოვიჩინოთ, მაგრამ სტრესებით დამძიმებული ადამიანების ალაბებდზე მიტოვებაც არ შეიძლება, თუნდაც იმ მიზეზით, რომელიც ამერიკის მაგალითით დაგისახელეთ. სახელმწიფომ მაინც უნდა მოახერხოს სახსრების გამონახვა და ფსიქოლოგიური სამსახურების შექმნა. რადგან, ვიმეორებ, დანაკარგები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე პროფილაქტიკაზე დახარჯული სახსრები.

— ბატონო ნოდარ, ფსიქოლოგიური დახმარება თუ მეტად არა, ნაკლებად არც იმ ადამიანებს სჭირდებათ, ვინც ომიდან დაბრუნდნენ. უკვე ლაპარაკობენ ე.წ. „ვიეტნამის სინდრომზე“.

— მართალი ბრძანდებით. ომი ძალიან ბევრ ადამიანს უკარგავს ფსიქოლოგიურ წონასწორობას. პირადად მე ზოგიერთ მათგანთან არაერთხელ მომიწია სერიოზული და ხანგრძლივი სამუშაოს ჩატარება. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ „ვიეტნამის სინდრომი“ ჩვენში გაცილებით მძიმე გადასატანი იქნება, იმ უბრალო მიზეზით, რომ ვიეტნამის ომიდან დაბრუნებულ ამერიკელ ჯარისკაცს აყვავებული, ეკონომიკურად უფრო მეტად გაძლიერებული ქვეყანა დახვდა, რაც ვერ ვიტყვით ჩვენს ჯარისკაცზე, რომელთაც მოშლილი ეკონომიკა და სიღატაკე ელოდებათ.

მათ თუ დროზე არ მიეხედვით, მალე გამოუსწორებელი შედეგების წინაშე დავდგებით. ეს პროცესები უკვე დაწყებულია და სანამ მეტსტაზებად მოგვევლინება მანამდე უნდა შველა.

— ჩვენში, სამწუხაროდ, არაპოპულარულია ფსიქოლოგიური დახმარება. ბევრი შეურაცხმყოფელადაც კი სთვლის ამ დარგის სპეციალისტს მიმართოს. ამგვართა ცრუ რწმენის შესარუკვად რას იტყვით?

— განვითარებულ ქვეყნებში ფსიქოლოგიური სამსახური უაღრესად პოპულარულია. უკვე მოგახსენეთ — უამრავი ცენტრები არსებობს. ყველა ჩვენთაგანს აქვს სტრესი, ანუ იმგვარი მომენტი, როდესაც ჩიხში მოექცევა, სასოწარკვეთილია, უჭირს ნორმალური ყოფის კალაპოტში მოქცევა, ამ დროს ფსიქოლოგის დახმარება შეუცვლელია.

ჩვენ ადამიანს ვეუბნებით, რომ ის არის კლიენტი (სხვათაშორის ამერიკელებიც ამ სიტყვას იყენებენ) და არა პაციენტი. ეს უკანასკნელი სიტყვა, გასაგებ მიზეზთა გამო, დამატებით უარყოფით ემოციებს იწვევს.

დღეს მთელი ჩვენი მოსახლეობა მასობრივად სტრესის ქვეშაა, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტი დარტყმა მიიღეს ლტოლვილებმა და ომის დროს დასახიჩრებულმა მეომრებმა.

მსოფლიოს ფსიქოლოგიურ არსენალში საკმაოდ დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ასეთი სტრესების შესახებ. ისინი გაერთიანებულია ეკოლოგიური, სტიქიური უბედურების, პოლიტიკური და საომარი მოქმედებების და კატასტროფის შედეგად გამოწვეულ სტრესებში.

თავის მხრივ სტრესები ორ ნაწილად იყოფა — პოსტტრავმატულად და პოსტკატასტროფულად.

ჩვენი მოსახლეობის ნაწილს ახასიათებს პირველ ტერმინში ნაგულისხმევი სიმპტომატიკა. რაც იმას ნიშნავს, რომ ტრავმა (სულიერი თუ ფიზიკური) ან უკვე გამოვლენილია ან მომავალში გამოაჩნდებათ.

რაც შეეხება მეორე ტერმინს, ანუ პოსტკატასტროფას, იგი თავისი შედეგებით გაცილებით მძიმეა და მასშტაბითაც გაცილებით დიდი (სხვათაშორის, იგივე მდგომარეობა იყო ჩვენში 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. ამერიკელმა მეცნიერ-მედიკოსმა მაშინდელ სულიერ მდგომარეობას სწორედ პოსტკატასტროფული სტრესი უწოდა. ადამიანებს მაშინ ჰქონდათ არა ტრავმის, არამედ კატასტროფის შეგრძნება).

ლტოლვილებს აქვთ უზარმაზარი დანაკარგი. ისინი აყარეს საცხოვრებელი ადგილებიდან, მათ ბედი გაურკვეველია. ეს კი ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი ემოციაა. ამას გარდა, ერთ ნაწილს დაეკარგა ან დაეღუპა ახლობელი. ამას ემატება ახალ პირობებში სოციალური ადაპტაციის სირთულეები. ყოველივე ეს კი იწვევს მრავალ ფსიქოლოგიურ დაავადებას: დეპრესიას, უძილობას, გულისსიცლძარღვთა დარღვევებს. ხდება პიროვნების ქცევის დეზორგანიზაცია, მწვავდება კრიმინოგენული სიტუაციები და რაც ყველაზე საჭირბოროტოა, რთულდება მოზარდი თაობის ნორმალური აღზრდა.

ასეთ რთულ სიტუაციაში ცხადია, უპირველესი როლი ენიჭება ლტოლვილთა მატერიალურ დახმარებას, მათ დაბინავებას, მაგრამ ცხოვრება და მეცნიერული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს არ არის საკმარისი. მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მორალურ-ფსიქოლოგიურ დახმარებას.

— რა სახსრებით იმოქმედებს თქვენი სამსახური?

— სახსრებისა რა მოგახსენოთ. გაწეულ სამსახურში ფსიქოლოგებს ფულს არ გადაგვიხდიან. ცხადია, კლიენტებსაც უფასოდ ვემსახურებით. ერთი თვის განმავლობაში ენთუზიაზმით ვიმუშავებთ. იმ დიდი იმედით, რომ სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს საჭიროდ ჩათვლის ფსიქოლოგიური სამსახურის არსებობას და სათანადოდ დაფასებს.

კლიენტთა ანუ ლტოლვილთა საყურადღებოდ ვიტყვი, რომ ნუ დაიზარებენ, მობრძანდნენ კლინიკა „უნივერსალში“, აქ მათ საკმაოდ კარგი პირობები და კვალიფიციური ფსიქოლოგები დახვდებათ.

ესაუბრა ჯემალ თემქელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო შენიშვნები

(დასასრული)

...ინცხეს მიეკუთვნები. მის შესანიშნავ „ციფერ მთებზე“ ვრცელი რეცენზიაც გამომიქეყნებია. ყველას კარგად ახსოვს ბ-ნი ელდარის მედგარი, პრინციპული და გაწოასწორებული გამოსვლები საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის სხდომებზე. ერთხელ, დეკემბერ-იანვრის ამბებიდან მალე, ...ულ ახლად გარდასული ამბების კადრების ...ვენებისას, ტელეეკრანზე გაიელვა ვაუკაცური შემართებითა და მტკიცე ნაბიჯებით უზენაეს საბჭოს მორიგ სხდომაზე მიმავალი ...შენგელაიას სილუეტმა, ხელში ქოლგა-...ომარჯვებული დედაკაცები რომ მიაცილე-...ნენ და ენითუთქმელი ეპითეტებით ამ-...ობდნენ.

ელდარ შენგელაიამ — პარლამენტარმა ...ი ძველებური მომხიბვლელობით მხოლოდ ...რთხელ შეგვახსენა თავი, როცა მისთვის ...ამახასიათებელი ვაუკაცობით შეხვდა სპი-...ერის თანამდებობაზე კენჭისყრაში დამა-...ცხებას. შემდეგ კი მასში როგორღაც ...აქრა ძველებური შემართება და პასუხი-...ვგებლობა. აბა სხვა რა გეთქმის კაცს, ...ას შემდეგ, როცა მან მისხალ-მისხალ ...აგვირჩია სოჭის ხელშეკრულების თითო-...ული მუხლი და მასში ჩვენთვის სასარ-...ებლო იმდენი დამცავი მექანიზმი აღმო-...ჩინა, რომ ამის შემხედვარე გაიფიქრებდი — რაღა ეს ხელშეკრულება საქართვე-...ლოსათვის და რაღა რეიგანის კოსმოსური ...ოვდაცვის პროგრამა მსოფლიოსათვისო. ...ეი რომ ყველაფერი სწორედ პირიქით ...ეგეხდა.

ახლა ბ-ნი ელდარი ახალი მოძრაობის — საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ...ვანგარდშია. ასე მგონია, რომ მისი ...მოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეო-...ბის დამფასებლებთან ძველი დამოკიდებუ-...ლების შესანარჩუნებლად, მას იქნება ...ოუწიოს თავისი პოზიციის გადასინჯვა...

7. სექტემბრის თვეში, როცა საქართ-...ველოს შიგნით ურთიერთდაპირისპირებამ ...ბოგუას მიაღწია, ქართველთა გაერთიანების ...ხია ბ-ნ ასლან აბაშიძეს დაეკისრა. გაჭი-...ანებას რა ვუთხრა თორემ, როგორ შეიძ-...ლებოდა ქართველი ხალხის გაერთიანება ...თავა პიროვნებას, ვინც პოლიტიკაში მოს-...ლის დღიდან გაწკრეკილობის განწყობას ...მკვიდრებს და ყველაზე ახლო ურთიერთობა ...ქართველოს ხელისუფლებასთან კი არა ...ქვს, არამედ სხვა და სხვა პოლიტიკურ თუ ...არაპოლიტიკურ ძალებთან. ამიტომაც არა-...ვერი არ იყო გასაკვირი იმაში, რომ „გაერთიანების“ ამ ფარისეველურმა იდეამ ...რული ფიასკო განიცადა. ისიც უნდა ...თქვას, რომ ა.აბაშიძე ხშირად აღნიშნავს ...ის წინააღმდეგ გეგმაზომიერ ინფორმაციულ ...რძოლაზე თბილისიდან. ამასთან, არ ჩანს, ...რომ ის ერთხელ მაინც ჩაფიქრებულიყოს ...საკუთარ წვლილზე მისდამი ასეთი „დაპი-...რისპირების“ გამო. ამ მხრივ ის პოლიტიკაში ...ისი შემომყვანის — ექსპრეზიდენტის კვა-...ლზე დადის. გაიხსენოთ თუ როგორ სახავდა ...ექსპრეზიდენტი მთელი ცივილიზებული მსო-...ფლიოს შეთქმულებას საქართველოს წინააა-...ღმდეგ და მაშინ ერთხელაც არ დამდგარა ...საკითხი ამ „შეთქმულებაში“ ჩვენსავე წვლი-...ლზე. თუმცა, ამ მხრივ ექსპრეზიდენტისა ...და ა.აბაშიძის „მტრების“ წრეთა არეები ...საოდენობრივად დიდად განსხვავდება ერთ-...ანეთისაგან მაგრამ სამოქმედო ასპარეზის ...მესაბამისად...

8. 1991 წლის მაისის თვეში, საპრე-...ზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სატე-...ლევიზიო გამოსვლისას, პრეზიდენტობის ...რო-ერთმა კანდიდატმა ვალერიან ადეიძემ ...და მისმა ერთ-ერთმა მხარდამჭერმა გურამ ...ამელიამ ყოველდღე უსაფუძვლოდ დიდი შეშფო-...თებით განაცხადეს, რომ აჭარა ფაქტობრივად ...დაკარგულიაო. გამოხდა ხანი. ბატონები ვ.ადეიძე ...და გ.ამაშელია საქართველოს რესპუბლიკის პარ-...ლამენტის წევრები გახდნენ სხვადასხვა საარჩევნო ...ოლკებიდან. მას შემდეგ არც ერთსა და არც ...ორეს აჭარა აღარ გახსენებიათ, თუმცა მათ ...ერ ადრე გამოთქმული შეშფოთების საფუძველი ...გარეგნულად მაინც) ამ ხანებში უფრო იყო, ...ვიდრე ეს წინასაპრეზიდენტო არჩევნების პერი-...ოდში გახლდთ. საკითხის სხვა მხარეა ის, რომ ...ჭარის დაკარგვის საფრთხე არც მაშინ იყო და ...არც ახლაა, რადგანაც მის ბედს საბოლოოდ ...ანაგებს მისი მოსახლეობა, სრულიად საქართ-...ველო და არა რომელიმე პიროვნება. კარგია ...მას სხვებთან ერთად ხსენებული პარლამენტა-...ებიც თუ გაითვალისწინებენ...

9. კრიტიკოს თამაზ წივწივაძის „გახ-...მაურებული „მარქსისტი ბიძიების“ პოტენციური პერსონაჟი, სკკ ისტორიის სპეციალისტი — მურად ჩავლეიშვილი თავის ერთ წერილში აქეთ მომმართავს ბ-ნი თამაზის სიტყვებით: „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!“ მეორე წერილში კი მკითხველს აუწყებს, თითქოსდა ხალხმა კარგად იცის, რომ მ.მახარაძემ და მისნაირებმა რეფერატის სახის შრომების საფუძველზე დაიცვეს დისერტაციებიო. ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ (ვერ!) მოაქვს. ამ უზნეო განცხადებით კი მ.ჩავლეიშვილი შეურაცხყოფს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ სამეცნიერო საბჭოს ფილოსოფიის დარგში, სადაც დაცული მაქვს ორივე დისერტაცია და რომელი საბჭოს წევრებიც იყვნენ და არიან გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები: შ.ნუცუბიძე, ს.დანელია, კ.ბაქრაძე, ს.წერეთელი, ა.ბოჭორიშვილი, ზ.კაკაბაძე, ვ.ქვაჩახია, ა.შეროზია, გ.ბანძელაძე, მ.მამარდაშვილი,.. შ.ხიდაშელი, ნ.ჭავჭავაძე, გ.თევზაძე და მრავალი სხვა. იმის მიუხედავად, თუ რას ფიქრობს ამ სახელოვან საბჭოზე მ.ჩავლეიშვილი. პირადად მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ ვარ მისი წევრი. საკუთარი სადისერტაციო ნაშრომების ავკარგიანობის მსაჯულად მე ვერ გამოვდგები, მაგრამ ცნობისათვის - „აჭარისა“ და „ადჟარიას“ მკითხველებს (სწორედ ამ გაზეთებში გამოქვეყნდა მ.ჩავლეიშვილის წერილები) განვუმარტავ, რომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომების ოპონენტები იყვნენ რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები და ცნობილი პროფესორები. ორივე დაცვას საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი და არ მიმიღია არც ერთი შავი ხმა. თუმცა არ მქონია იმის ბედნიერება, რომ მ.ჩავლეიშვილის მსგავსად ერთი დისერტაცია მაინც დამეცვა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ალბათ სწორადაც მოიქცა მ.ჩავლეიშვილი, როცა დისერტაციის დასაცავად დონის როსტოვს მიაშურა, რადგანაც საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი მონაკვეთის გაყალბებისათვის (სადისერტაციო თემა: „აჭარის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის (1921-1925)“, დონის როსტოვი, 1966) საძიებელ ხარისხს იქ უფრო იოლად მიიღებდა, ვიდრე საქართველოში. მაგრამ ერთდაგვარი ეჭვი მაინც არსებობს: ასეთ დისერტაციებს, არათუ საკანდიდატოებს, არამედ სადოქტოროებს ჩვენშიც იცავდნენ დიდი წარმატებით. თუ რატომ წავიდა ჩვენი მარქსისტი საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად მაშინ ასე შორ გზაზე, საკითხავი ნამდვილად არის!..

10. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა ვიქტორ ლორთქიფანიძემ ტელეპროგრამა „ალიონით“ პირველივე გამოსვლისას მცირედი პოპულისტური შესავლის შემდეგ თავმომწონედ განაცხადა, რომ ის არ (თუ ვერ?) აპირებს საკადრო ცვლილებების მოხდენას სისტემაში. არადა, ახალი კაცი, როგორც წესი, საკადრო ცვლილებებით იწყებს მუშაობას! ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს. საქმე ისაა, რომ დეპარტამენტში შემავალ საბაჟოთაგან მთავარი — სარფის საბაჟო — ახლან აბაშიძის მტკიცე ხელშია, თუ მთავარს ხელს ვერ ახლებ, მაშინ მეორეხარისხოვანს რაღა მნიშვნელობა აქვს. ისე, ვ.ლორთქიფანიძე ა.აბაშიძის კაცია და ამიერიდან სარფის საბაჟოსთან ერთად აბაშიძის ხელშია დეპარტამენტის ხელმძღვანელიც. სხვის ხელში მყოფი თუ რა საქმეს გააკეთებს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

11. რამდენიმე თვის წინათ ერთი ავტორი (საწყუხაროდ გვარი აღარ მახსოვს) წერდა, რომ ესპანელები თავიანთი იბერიული წარმომავლობით ამაყობენ, ჩვენ კი ჩვენს უპირველეს საფეხბურთო კლუბს ძლივს შერქმეული „იბერია“ გამოვუცვალეთ და ისევ „დინამო“ დაუბრუნეთო. უფრო კარგი მაგალითიც არის: თურქეთის ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, მწერალმა ახმედ ოსკან-მელაშვილმა (თურქმა ტერორისტებმა მოკლეს 1982 წელს) თავის ვაჟიშვილს საქართველოს სიყვარულით იბერია დაარქვა (ქალიშვილს კი თამარი). „დინამოს“ სახელის დაბრუნებაზე ერთმა რიგითმა ქართველმა მოსწებულად შენიშნა, რომ ეტყობა რაღაც უარესისათვის გვამზადებენო. საწყუხაროდ, ბოლოდროინდელ ამბები ამ ეჭვს ადასტურებენ.

„ყველა ჩვენი დიდი საფეხბურთო წარმატება „დინამოს“ სახელთანაა დაკავშირებული და სხვა სახელს ჯერ შეეგუეთო“, ასე ცდილობენ თავის გამართლებას მავანნი. ამ კუდიან ტყუილსაც დავიჯერებდით (განა უარესი არ დაგვიჯერებია), რომ არა ეჭვი სხვა სახელებთან დაკავშირებით: განა რა ისეთი წარმატებებია დაკავშირებული „ტორპედოსა“ და „მეტალურგის“ სახელებთან მშვენიერ „ქუთაისსაც“ რომ შეეველიეთ და კარგ ქართულ „გორდასაც“?

აღნიშნულ მოვლენებთან ხომ არა აქვს რაიმე კავშირი საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში რუსული გადაცემების მომრავლებას?...

პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები

ადოლფ ჰიტლერი

(დასასრული)

დგურებინა მილიონობით ებრაელი, რუსი თუ პოლონელი, არც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია, არც რაციონალური მიზეზი. ეს იყო მხოლოდ ნეკროფილური ხასიათის გამოხატულება. მართალია, რომ მას ეზიზღებოდა ებრაელები, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ერს ასევე არ უყვარდა გერმანელები. ჰიტლერს მთელი კაცობრიობა სძულდა, ვერ იტანდა სიცოცხლეს, როგორც ასეთს. მაინც როგორ შეეძლო მილიონობით გერმანელის დაჯერება, რომ ეს ადამიანი გამოჩენილი პატრიოტი და ახალი გერმანიის მშენებელი იყო? პასუხი მარტივია: ჰიტლერი იყო არაჩვეულებრივი დემაგოგი და უნიჰიერესი მსახიობი.

ჰიტლერი შეპყრობილი იყო არა მარტო ნეკროფილიით (მკვდრებისადმი სიყვარული), არამედ სადო-მაზოხიზმითაც. იგი ელტვოდა ძალაუფლებას მასზე სუსტებზე, თუმცა მზად იყო დამორჩილებოდა რაღაც უზენაეს ხელისუფლებას ანუ ბიოლოგიურ კანონებს.

ნარცისიზმი ადოლფის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო. ის მხოლოდ საკუთარი თავით იყო დაკავებული. შეეძლო უსასრულოდ ესაუბრა თავის იდეებზე, სურვილებზე, წარსულზე, მომავლის გეგმებზე. მთელ მსოფლიოს იგი უყურებდა, როგორც საკუთარი სქემების რეალიზაციის საშუალებას. მისთვის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ფაქტების ადგილზე არსებობდა მხოლოდ იდეოლოგია, მისი ნარცისიზმის გამომხატველი შესანიშნავი მაგალითი: ჰიტლერი იწერდა თავის რადიოგამოსვლებს. თავისუფალ დროს ჩაწვებოდა რბილ სავარძელში და ტკბებოდა საკუთარი ხმის ბგერებით. იგი ადამიანებთან ურთიერთობებში ცივი და თავშეკავებული იყო. მეგობრები არ ჰყავდა. ამის შესახებ შპეერი წერდა: „ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც შეეძლო ფიურერში ადამიანობის გაღვიძება, მისი ძაღლი იყო“... ჰიტლერი დაავადებული იყო გიგანტომანიით. მისი სასახლე ბერლინში უნდა ყოფილიყო ოდესმე აშენებულ რეზიდენციებზე ყველაზე დიდი, ასორმოცდაათჯერ დიდი — ვიდრე კანცლერის რეზიდენცია, აშენებული ბისმარკის დროს. ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე არ მონაწილეობდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან არანაირ შეჯახებებში, არ ესწრებოდა მკვლელობებსა და დასჯებს. ის ლაპარაკობდა თავის მშვიდობისმოყვარე განზრახვებზე და ყოველი გამარჯვების შემდეგ ამტკიცებდა, რომ ყველაფერს აკეთებს მშვიდობის სახელით. მას შეეძლო ემტკიცებინა არა მარტო სიტყვებით, არამედ ინტონაციითაც, რადგან თავისუფლად ფლობდა საკუთარ ხმას.

შპეერს აქვს საინტერესო ჩანაწერი, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მის ნეკროფილურ ხასიათს. აი, როგორი იყო მისი რეაქცია კინოქრონიკის ფინალური კადრებისადმი, რომელიც ვარშავის დაბომბვისადმი იყო მიძღვნილი: „ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა გადაგდებული ბომბების ფრენა, მიწაზე დაცემით და აფეთქებებით. ეფექტს ამაღლებდა ის, რომ ფილმს უშვებდნენ შენელებულ ტემპში. ჰიტლერი იყო არაჩვეულებრივად გახარებული ასეთი სანახაობით. ლენტის დასასრულ დამონტაჟებულ იქნა კადრები, სადაც თვითმფრინავი ბომბავდა რუქის ფონზე, სადაც ბრიტანეთის კუნძულები იყო გამოხატული. დაბომბვის შედეგად კუნძულები ჰაერში იტყორცნებოდნენ და ნაწილებად იშლებოდნენ. ჰიტლერის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა: „აი, მათ რა მოელით“ — ყვიროდა ის „აი, ჩვენ მათ როგორ გავანადგურებთ“... ამ სიტყვების მთქმელ პიროვნებას ეკუთვნის შემდეგი ფრაზებიც, რომელიც მის არაჩვეულებრივ დემაგოგიაზე მეტყველებს: „სილამაზე უნდა მბრძანებლობდეს ადამიანებზე... როდესაც დამთავრდება ომი, მე მინდა რამდენიმე წელი დავუთმო ლიტერატურულ მუშაობას. ომები მიდიან და მოდიან, რჩება მხოლოდ კულტურული ღირებულებები“...

ჰიტლერის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვისებად მისი მეხსიერება მიიჩნდათ. მას ზუსტად ახსოვდა მისი პოლიტიკული ბიოგრაფიის ყველა თარიღი, ყველა ის სასტუმროები, რომელშიც კი ოდესმე ცხოვრობდა, ქუჩის სახელწოდებები, რომელზეც მგზავრობდა. ცნობილია ისიც, რომ ის ადვილად იმახსოვრებდა ტექნიკურ ციფრებსაც: მას შეეძლო დაესახელებინა ნებისმიერი შორსასროლი იარაღის ზუსტი კალიბრი, წყალქვეშა ნავების რაოდენობა, რომლებიც მოცემულ მომენტში იმყოფებოდა წაზაზე. აქედან გამომდინარე არცაა გასაკვირი, ის ფაქტი, რომ ნაცისტური გერმანიის გენერლები გულწრფელად იყვნენ გაკვირვებულნი მისი ცოდნის სიღრმით, თუმცა სინამდვილეში ეს ყველაფერი განპირობებული იყო მისი მექანიკური მეხსიერებით.

ადოლფის სიტყვები არასოდეს ყოფილა გადატვირთული ინტელექტუალური აზრებით. ის იღებდა ფაქტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ მის თეზისებს, უხეშად აბამდა ერთი-მეორეზე და იღებდა ტექსტს, რომელიც მთლიანად დამაჯერებლად გამოიყურებოდა ადამიანთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ კრიტიკის უნარს.

ორიოდე სიტყვა მის წიგნზე „Mein Kampf“. შეუძლებელია წიგნის შეფასება, როგორც დაწერილი ერუდირებული ადამიანის მიერ. ნაშრომის უფრო პროპაგანდისტულ პამფლეტს ჰგავს. რაც შეეხება მის გამოსვლებს, ისინი უფრო ქუჩურ დემაგოგიას გვაგონებდნენ. „საუბრებით“ ჰიტლერი დემონსტრაციას ახდენდა. ჰიტლერი არ კითხულობდა არაფერს, რაც ეწინააღმდეგებოდა მის იდეოლოგიურ ცრურწმენებს. არ აინტერესებდა ბახის ან მოცარტის მუსიკა, უსმენდა მხოლოდ ვაგნერის ოპერებს. ის კითხულობდა მხოლოდ პოპულარულ ლიტერატურას (პამფლეტების ჩათვლით), საიდანაც იღებდა ციტატებს, რომელსაც იმახსოვრებდა, ხოლო საჯარო მომენტში ამბობდა მათ, ამით ქმნიდა შთაბეჭდილებებს, რომ მისთვის ცნობილია პირველწყაროები. ჰიტლერი არ კითხულობდა წიგნებს, რომლებიც ითხოვდნენ ყურადღებას და მონაწილეობას. მისთვის უფრო გამოსადეგი იყო პოლიტიკური პამფლეტები ან ფსევდომეცნიერული ნაწარმოებები, ისეთი როგორიც იყო გობინოს და ჩემბერლენის რასული თეორია, ან პოპულარული ბროშურები დარვინიზმზე, სადაც მას შეეძლო ამოეკითხა ის, რაც მისთვის იყო საჭირო.

ყოველ საღამოს ჰიტლერი სადილის შემდეგ უყურებდა ორ ფილმს. ყველაზე ძლიერ მას უყვარდა ოპერეტები და მიუზიკლები. ვერ იტანდა ფილმებს მოგზაურობაზე, ბუნებაზე ან სასწავლო ფილმებს. მუსიკაში აინტერესებდა მხოლოდ ოპერეტა და ვაგნერი, რომელიც მისთვის იყო აუცილებელი ემოციური დოპინგი.

ცოტაა ცნობილი ჰიტლერის ქალებთან ურთიერთობების შესახებ. მისი სექსუალური ცხოვრება ყოველთვის იყო სპეკულაციის საგანი. ერთი მხრივ ცნობილია, რომ ურთიერთობებში ის იყო უხეში, აკლდა სინაზე და სიყვარული, მისთვის უცხო იყო ეროტიკული თავგადასავლები. მეორე მხრივ ამტკიცებენ, თითქოს ის იყო ჰომოსექსუალისტი, თუმცა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ამის შესახებ არ არსებობს. ყურადსაღებია, რომ მასთან დაახლოებული ქალები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. ძნელი დასაჯერებელი არაა, რომ ჰიტლერის დამანგრეველი ენერგია მათზეც ვრცელდებოდა.

გაურკვეველია, აინტერესებდა თუ არა ყოფილ მხატვარს ფერწერა. სიცოცხლის ბოლოს ჰიტლერი მის ერთ-ერთ მეგობარს გამოუტყდა: „მე არ მინდა გამოვსულიყავი მხატვარი. ვხატავდი მხოლოდ იმისთვის, რომ მეცხოვრა და მესწავლა“...

ბევრი მათ შორის, ვინც თვალყურს ადევნებდა მის მოქმედებებს, აღნიშნავენ, რომ სიტუაციაში, რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილებების მიღებას, მას უეცრად ეწყებოდა ეჭვის დაძლევა. მას ჩვეულად ჰქონდა, დალოდებოდა მოვლენების განვითარებას იმ მომენტამდე, როდესაც უკვე საჭირო აღარ იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება.

გარდა სუსტი ნებისყოფისა, ჰიტლერს ჰქონდა კიდევ ერთი თვისება, ეს იყო რეალობის შეგრძნების უუნარობა. ფანტაზიის სამყარო მისთვის უფრო რეალური იყო, ვიდრე რეალობა. შეესაბამებოდა რეალობას მისი განზრახვა, გამხდარიყო მხატვარი. ეს იყო უბრალოდ ოცნება. აღსანიშნავია, რომ ადამიანებიც არ იყვნენ მისთვის რეალურნი. ის მათში ხედავდა მხოლოდ ინსტრუმენტს. მისი სამყარო შედგებოდა რეალობისა და ფანტაზიის თავისებური პროპორციით. აქ არაფერი იყო ბოლომდე რეალური და არაფერი ბოლომდე ფანტასტიკური. მაგალითად: იმ შემთხვევაში, როდესაც აფასებდა მოწინააღმდეგის ძალებს, ის გამოდიოდა არაჩვეულებრივი რეალისტი. იგი ყურადღებას არ აქცევდა რჩევებს და ყურად იღებდა მხოლოდ იმას, რასაც თვითონ სთვლიდა სიმართლედ.

როგორ მიაღწია ჰიტლერმა ყოველივეს. ის ხომ არ ყოფილა გენია და მისი შესაძლებლობები უნაბირო? უნიკალური იყო ის სოციალ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც მას შეეძლო ასულიყო ასეთ სიმაღლეზე.

გიორგი ნანუაშვილი
თბილისის პოლიტოლოგიის
ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი

თემქელებს საკუთარი სალოცავი აქვთ



ეარშან, ოქტომბერში თემქის უძველესი უბნის ბიჭები აფხაზეთში საომრად წავიდნენ (ამის შესახებ გაზეთში რეპორტაჟი გამოეაქვეყნა). მათ შორის იყო ანზორ მამედოვი, მალალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ ანზორს მეორედ, წარმოუდგენლად განსხვავებულ ამპლუაში შევხვდებოდი. ეროვნებით ქურთი კაცი თავის უბანში ქრისტიანულ ეკლესიას ააშენებდა და მარტო თემქელებს კი არა, მთელ ქვეყანას აალაპარაკებდა.

მარტო კაცი პურისჭამაშიც ბრალიაო. ცხადია, ანზორს ამ საშვილიშვილო საქმეში მეზობელ-უბნელებიც ამოუდგნენ, მაგრამ ჭაპანი ძირითადად მან გაწია, მღვდელიც თვითონ მოიყვანა — სოხუმიდან ლტოლვილი მამა რომანოზი. და აი, გიორგობა დღეს თემქაზე, წმინდა გიორგის სახელობის პირველმა ეკლესიამ გაულო კარი მრავალრიცხოვან სტუმრებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს.

აქ გამეფებულმა ღიმილმა და ხიხარულმა მომავლის რწმენა შეამატა მრევლს.

სტუმართაგან რამდენიმეს გავესაუბრეთ.

გიზო ნიშნიანიძე: ამ ეკლესიის აშენება ჩვენს გაუბედურებულ ყოფაში, ნათელი სხივის გამოჩენაა. ეს დღეს იმიტომაცაა ღირსშესანიშნავი, რომ ეკლესია ააგო თბილისელმა კაცმა, ქართული მზით გულგამთბარმა, იეზიდმა ანზორ მამედოვმა. მან ამით თვითონაც მოისხა მადლი და ჩვენც გვაზიარა.

27 დღის წინ სხვისი მოსახვედრი ტყვია მოხვდა და ეს პირველი ეკლესიაა, საიდანაც

ღმერთს გადარჩენისთვის მადლობა შევწირე...

ვახტანგ როდონაია: ანზორ მამედოვის მიერ აშენებული ამ კარის ეკლესიას წმინდა რეალიგიურის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ეს ეკლესია ჩვენი ქურთი ძმების პირდაპირი პასუხია იმაზე, რომ საქართველოში მცირე ერები არ იჩაგრება.

ზურაბ შპანია: ორმაგად სასიხარულოა, რომ საყოველთაო ნგრევის ჟამს ჩვენმა ქურთმა თანამოქალაქემ ასეთი შესანიშნავი საქმე გააკეთა, ააგო ასეთი კოხტა ეკლესია. ეს არ არის მხოლოდ ტაძარი. იგი არის გარკვეული სიმბოლო ქურთი ხალხის თანადგომისა ჩვენი საერთო საქმისადმი. იგი ხელს შეუწყობს საქართველოში სულიერების, ზნეობრიობისა და სიწმინდის აღდგენას.

ჯვრის მონასტრის წინამძღვარი დეკანოზი **ანტონ ხანთაძე:** მე და ანზორი დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ვმეგობრობთ. ჩვენ ამას ქრისტიანულ სიყვარულს ვეძახით. ძმა რომ დაელუპა ავარიაში მე მომიწვა. აი, მაშინ დაებადა აზრი აეშენებინა ეკლესია.

ეკლესიაში ხელმარჯვნივ უბანში დაღუპული 26 ახალგაზრდის გადიდებული სურათი ჰკიდია. სანთლებთან / შავებში ჩაცმული ქალბატონი ტრიალებს.

— თამაზ ოსეფაშვილის დედა ვარ. შარშან, ოქტომბერში აფხაზეთში საომრად წამსვლელი თემქელების რაზმი რომ შედგა, პირველი ჩემი შვილი ნაწერა. ორ დეკემბერს მოიკლეს კინდლში. მისმა ძმაკაცებმა ოთხში კარზე მომაყენეს. დასაფლავების მეორე დღეს მამამისს გული გაუსკდა.

სხვა რა ვთქვა. მეტყოდა ხოლმე — დედა, ომში წასვლა არ დამიშალოო, სახლში კიდევ გრჩება სამი ბიჭი. იმათ რაღა ქნან, დედისერთებს რომ უშვებენო.

ღმერთი-რჯული არ დამიშლია. — წადი, თუ გიწერია ყველგან მოკვლებში შენი ბედი-მეთქი. აკი მოიკლა კიდეც.

მამა რომანოზ ეფუხაძე: მე ხსვებთან ერთად გადმოვიარე ს[illegible] კენი-ჭუბერის გზა. ჩემი თვალი[illegible] ვნახე და განვიცადე ის ჯოჯოხეთი, რაც იქ ტრიალებდა. ღმერთ[illegible] არ გაგვწირავს, რადგან ჩვ[illegible] უდანაშაულოები ვართ. დარწმ[illegible] ნებული ვარ ჩვენ სოხუმ[illegible] დავბრუნდებით. დღეს კი ყველ[illegible] მინდა მივულოცო. ამ ეკლესიის[illegible] გახსნა და მოვუწოდო, რ[illegible] ერთმანეთს მივუტევოთ ცოდვებ[illegible] სხვანაირად არ გვეშველება.

საქართველოში ყველაზე მ[illegible] ტი წმინდა გიორგის სახელობ[illegible] ეკლესიაა. ახლა მათ კიდ[illegible] ერთი — თემქის შეემატა.

ეკლესიაში პირველი ნათლ[illegible] ბა ჩატარდა.

იმ დღეს იქ მოსულმა ას[illegible] ულობით ადამიანმა ლოცვა აღ[illegible] ვლინა უფლისადმი.

ჯემალ კასრაძე

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

«ᲐᲠᲒᲝᲡᲘ»

გთავაზობთ ამერიკული თამბაქოსაგან დამზადებულ „LM“ და „Magna“-ს კლასის სიგარეტს (მაგარ კოლოფებში)

"BROOKLYN"

სიგარეტი შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვითაც დღევანდელი ინფლაციის პირობებში სრულიად ხელმისაწვდომ ფასებში. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი — თანხის გადახდის დღეს ქ. თბილისში. საქონლის რაოდენობა — შეუზღუდავი.

სიგარეტის ვიდეოს მსურველებს შეუძლიათ დარეკონ 99–72–07.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კოპახიძე
ჯემალ კასრაძე
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შეეოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
800 კუპონი